პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

სა. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 1 ნოემბერი 1939 წ.
№ 252 (5652)
ფასი 10 კაპ.

## გუშინ, მოსკოვში, კრემლში გაიხსნა სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე, რიგგარეშე სესია

საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ პალატების მიხედვით ცალცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

„მოისმინა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა“.

## სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე, რიგგარეშე სესია

# საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

### სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე 1939 წ. 31 ოქტომბერს

ამხანაგო დეპუტატებო!

უკანასკნელი ორი თვის მანძილზე საერთაშორისო ვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, ევროპის მდგომარეობას, მაგრამ აგრეთვე იმ ქვეყნებსაც, რომელნიც ევროპას დიდად დაშორებული არიან. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს სამი ძირითადი გარემოება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

პირველი, უნდა აღინიშნოს ცვლილებები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობაში მოხდა. მას შემდეგ, რაც 23 აგვისტოს დადებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, ბოლო მოეღო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მთელი რიგი წლების განმავლობაში არსებულ არანორმალურ ურთიერთობას. იმ მტრობის ნაცვლად, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოები, მოხდა სსრ კავშირისა და გერმანიის დაახლოება და მათ შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ამ ახალი, კარგი ურთიერთობის შემდგომმა გაუმჯობესებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა გერმანია-საბჭოთა კავშირის იმ ხელშეკრულებაში სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა 28 სექტემბერს მოსკოვში. საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის, ევროპის ამ ორ ყველაზე დიდ სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობაში მომხდარ მკვეთრ მობრუნებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მთელს საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამასთან მოვლენებმა სავსებით დაადასტურა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დაახლოების პოლიტიკური მნიშვნელობის ის შეფასება, რომელიც მოცემულ იქნა უმაღლესი საბჭოს წარსულ სესიაზე.

მეორე, უნდა აღინიშნოს ისეთი ფაქტი, როგორიცაა პოლონეთის სამხედრო განადგურება და პოლონეთის სახელმწიფოს დაშლა. პოლონეთის მმართველი წრეები ცოტას როდი ყოყოჩობდნენ თავიანთი სახელმწიფოს „სიმტკიცით“ და თავიანთი არმიის „ძლიერებით“. მაგრამ, საკმაო აღმოჩნდა პოლონეთისათვის ხანმოკლე დარტყმა ჯერ გერმანიის არმიისა, ხოლო შემდეგ წითელი არმიის მხრით, რომ არაფერი არ დარჩენილიყო ვერსალის ხელშეკრულების ამ მახინჯი ქმნილებისაგან, რომელიც არაპოლონელ ეროვნებათა ჩაგვრით ცხოვრობდა. გერმანიასა და სსრ კავშირს შორის უპრინციპო გაძრომ - გამოძრომისა და თამაშის „ტრადიციული პოლიტიკა“ უმწეო აღმოჩნდა და სავსებით გაკოტრდა.

მესამე, საჭიროა აღიარებულ იქნას, რომ ევროპაში გაჩაღებულმა დიდმა ომმა რადიკალური ცვლილებები მოახდინა მთელს საერთაშორისო ვითარებაში. ეს ომი დაიწყო გერმანიასა და პოლონეთს შორის და გადაიქცა ომად, ერთი მხრით, გერმანიასა და, მეორე მხრით, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ომი გერმანიასა და პოლონეთს შორის სწრაფად დამთავრდა, პოლონეთის ხელმძღვანელთა სრული გაკოტრების გამო. პოლონეთს, როგორც ცნობილია, ვერ უშველა ვერც ინგლისის, ვერც საფრანგეთის გარანტიებმა. დღემდე, არსებითად, არც კი ვიცით რა „გარანტიები“ იყო ეს **(საერთო სიცილი)**. გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთის ბლოკს შორის დაწყებული ომი მხოლოდ თავის პირველ სტადიაშია და ნამდვილად ჯერ კიდევ არ გაშლილა. მიუხედავად ამისა, გასაგებია, რომ ასეთ ომს რადიკალური ცვლილებები უნდა მოეხდინა ევროპის, და არა მარტო ევროპის, მდგომარეობაში.

საერთაშორისო ვითარების ამ მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით, ზოგიერთი ძველი ფორმულები, რომლებსაც ჩვენ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ვიყენებდით, — და რომლებსაც ბევრნი ასე შეეჩვივნენ,—აშკარად მოძველდნენ და ახლა მათი გამოყენება არ შეიძლება. ეს უნდა შევიგნოთ, რათა თავიდან ავიცილოთ უხეში შეცდომები ევროპაში შექმნილი ახალი პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებაში.

მაგალითად, ცნობილია, რომ ამ უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ისეთმა ცნებებმა, როგორიც „აგრესია“ და „აგრესორია“, ახალი კონკრეტული შინაარსი მიიღეს, ახალი აზრი შეიძინეს. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ახლა ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს ცნებები იმავე აზრით, როგორც, ვთქვათ, 3-4 თვის წინათ ვიყენებდით. ახლა, თუ ევროპის დიდ სახელმწიფოებზე ვილაპარაკებთ, გერმანია ისეთ სახელმწიფოს მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც ესწრაფვის ომის რაც შეიძლება ჩქარა დამთავრებას და ზავს, ხოლო ინგლისი და საფრანგეთი რომელთაც ჯერ კიდევ გუშინ აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლებად მოჰქონდათ თავი, ომის განგრძობის მომხრენი და ზავის დადების წინააღმდეგნი არიან. როგორც ხედავთ, როლები იცვლება.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა ცდები—გაამართლონ ეს თავიანთი ახალი პოზიცია პოლონეთისათვის მიცემული ვალდებულებებით, რა თქმა უნდა, აშკარად უსუსურია. როგორც ყველასათვის გასაგებია, ძველი პოლონეთის აღდგენაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ამიტომ უაზროა ახლანდელი ომის განგრძობა წინანდელი პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენის დროშით. თუმცა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ეს ესმით, მაგრამ მათ ომის შეწყვეტა და მშვიდობიანობის აღდგენა კი არა სურთ, არამედ გერმანიის წინააღმდეგ ომის განსაგრძობად ახალ გამართლებას ეძებენ.

ამ ბოლო დროს ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობენ თავი მოგვაჩვენონ მებრძოლებად ხალხთა დემოკრატიული უფლებებისათვის ჰიტლერიზმის წინააღმდეგ, ამასთან ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა, ვითომ მისთვის გერმანიის წინააღმდეგ ომის მიზანია, არც მეტი, არც ნაკლები, „ჰიტლერიზმის მოსპობა“. ისე გამოდის, რომ ომის ინგლისელმა მომხრეებმა, ხოლო მათთან ერთად ფრანგმა მომხრეებმაც, გერმანიის წინააღმდეგ გამოაცხადეს რაღაც „იდეოლოგიური ომი“, რომელიც ძველ რელიგიურ ომებს მოგვაგონებს. მართლაც, თავის დროზე რელიგიური ომები ერეტიკოსებისა და სხვა რჯულის მიმდევართა წინააღმდეგ მოდაში იყო. ამ ომებმა, როგორც ცნობილია, გამოიწვია ხალხის მასებისათვის უმძიმესი შედეგები, ხალხთა სამეურნეო განადგურება და კულტურული გაველურება. მათ არც შეეძლოთ სხვა რაიმე მოეცათ. მაგრამ ეს ომები საშუალო საუკუნეებში ხდებოდა. ამ საშუალო საუკუნეებისაკენ, რელიგიური ომების, ცრუმორწმუნეობათა და კულტურული გაველურების ხანისაკენ ხომ არ გვეზიდებიან კვლავ ინგლისისა და საფრანგეთის გაბატონებული კლასები? ყოველ შემთხვევაში, „იდეოლოგიური“ დროშით ახლა ატეხილია კიდევ უფრო დიდი მასშტაბისა და ევროპის და მთელი მსოფლიოს ხალხთათვის კიდევ უფრო დიდ საშიშროებათა შემცველი ომი. მაგრამ ამგვარ ომს არავითარი გამართლება არა აქვს. ჰიტლერიზმის იდეოლოგია, ისევე როგორც ყოველგვარი სხვა იდეოლოგიური სისტემა, შეიძლება სცნო ან უარყო, ეს პოლიტიკურ შეხედულებათა საქმეა. მაგრამ ყოველი ადამიანი მიხვდება, რომ იდეოლოგიის მოსპობა ძალით არ შეიძლება, რომ ომით მას ბოლოს ვერ მოუღებ. ამიტომ არა მარტო უაზროა, არამედ დანაშაულიცაა ისეთი ომის წარმოება, როგორიცაა ომი „ჰიტლერიზმის მოსპობისათვის“, რასაც „დემოკრატიისათვის“ ბრძოლის ყალბი დროშით ჰფარავენ. მართლაც, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დემოკრატიისათვის ბრძოლა ეწოდოს ისეთ მოქმედებას, როგორიცაა კომუნისტური პარტიის აკრძალვა საფრანგეთში, საფრანგეთის პარლამენტის კომუნისტი დეპუტატების დაპატიმრება ან პოლიტიკურ თავისუფლებათა შეკვეცა ინგლისში, შეუსუსტებელი ნაციონალური ჩაგვრა ინდოეთში და სხვ.

განა ცხადი არ არის, რომ ევროპის ახლანდელი ომის მიზანია არა ის, რაზედაც ოფიციალურ გამოსვლებში ლაპარაკობენ მსმენელთა ფართო წრისათვის საფრანგეთსა და ინგლისში, ესე-იგი არა ბრძოლა დემოკრატიისათვის, არამედ სხვა რაღაცა, რაზედაც ეს ვაჟბატონები აშკარად არ ლაპარაკობენ.

გერმანიის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის ომის ნამდვილი მიზეზია არა ის, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა თითქოს ფიცი დასდეს აღადგინონ წინანდელი პოლონეთი და, რა თქმა უნდა, არა ის, რომ მათ თითქოს გადასწყვიტეს იკისრონ დემოკრატიისათვის ბრძოლის ამოცანა. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველ წრეებს, ცხადია, სხვა უფრო ნამდვილი მოტივები აქვთ გერმანიის წინააღმდეგ ომისათვის. ეს მოტივები ეკუთვნის არა რაიმე იდეოლოგიის დარგს, არამედ მათი, როგორც ძლიერი კოლონიური სახელმწიფოების, უაღრესად მატერიალურ ინტერესთა სფეროს.

ბრიტანეთის იმპერია, რომლის მოსახლეობაც 47 მილიონს აღწევს, ჰფლობს 480 მილიონი კაცით დასახლებულ კოლონიებს. კოლონიური იმპერია საფრანგეთისა, რომლის მოსახლეობაც 42 მილიონს არ აღემატება, საფრანგეთის კოლონიებში მცხოვრებ 70 მილიონ კაცს მოიცავს. ამ კოლონიების ფლობა, რაც შესაძლებლობას იძლევა გასწიონ ასეული მილიონობით ადამიანთა ექსპლოატაცია, არის ინგლისისა და საფრანგეთის მსოფლიო ბატონობის საფუძველი. შიში ამ კოლონიურ სამფლობელოებზე გერმანიის პრეტენზიების წინაშე — აი სარჩული ინგლისისა და საფრანგეთის ახლანდელი ომისა გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც ამ ბოლო დროს სერიოზულად გაძლიერდა ვერსალის ხელშეკრულების დაშლის შედეგად. მსოფლიო ბატონობის დაკარგვის შიში ინგლისისა და საფრანგეთის მმართველ წრეებს გერმანიის წინააღმდეგ ომის გაჩაღების პოლიტიკას უკარნახებს.



**ამრიგად, ამ ომის იმპერიალისტური ხასიათი** აშკარაა ყველასათვის, ვისაც სურს საქმის ნამდვილი მდგომარეობა დაინახოს, ვინც თვალს არ ხუჭავს და ფაქტებს შესცქერის.

ყოველივე აქედან სჩანს, თუ ვის ესაჭიროება ეს ომი, რომელიც მსოფლიო ბატონობისათვის სწარმოებს. რა თქმა უნდა, არა მუშათა კლასს. ასეთი ომი მუშათა კლასს, გარდა სისხლიანი მსხვერპლისა და უბედურებისა, არაფერს არ უქადის.

ამის შემდეგ, თვითონ განსაჯეთ: შეიცვალა თუ არ შეიცვალა ამ უკანასკნელ პერიოდში ისეთ ცნებათა შინაარსი, როგორიც არის „აგრესია“, „აგრესორი“? ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ამ სიტყვების ძველი მნიშვნელობით ხმარება, — ესე-იგი, როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის პოლიტიკურ ურთიერთობაში უკანასკნელად მომხდარ გადამწყვეტ მობრუნებამდე და ევროპაში დიდი იმპერიალისტური ომის დაწყებამდე, — შეუძლია მხოლოდ დომხალი გამოიწვიოს ადამიანთა ცნობიერებაში და აუცილებლად მიიყვანს მათ შემცდარ დასკვნებამდე. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ არ უნდა დავუშვათ არაკრიტიკული დამოკიდებულება იმ ძველი ცნებებისადმი, რომელთა გამოყენებაც ახალ საერთაშორისო ვითარებაში არ შეიძლება.

ასე ჩამოყალიბდა საერთაშორისო ვითარება ამ უკანასკნელ პერიოდში.

გადავიდეთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა თვით საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობაში. აქ მცირე ცვლილებები კი არ მომხდარა, მაგრამ, თუ მთავარზე ვილაპარაკებთ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ შემდეგი: ჩვენი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულად გატარების მეოხებით, ჩვენ შევძელით მნიშვნელოვნად გაგვეძლიერებინა ჩვენი პოზიციები და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო წონა. **(ხანგრძლივი ტაში)**.

ჩვენი ურთიერთობა **გერმანიასთან**, როგორც უკვე ვთქვი, ძირფესვიანად გაუმჯობესდა. აქ საქმე ვითარდებოდა გერმანიასთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების, მასთან პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარებისა და მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებაში მისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის ხაზით. თავდაუსხმელობის შესახებ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება ჩვენ გვავალებდა ნეიტრალიტეტი დაგვეცვა იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ომში მონაწილეობას მიიღებდა. ჩვენ თანმიმდევრულად ვატარებდით ამ ხაზს, რასაც სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ყოფილი პოლონეთის ტერიტორიაზე ჩვენი ჯარის შესვლა, რაც 17 სექტემბერს დაიწყო. საკმარისია მოგაგონოთ, რომ მაშინვე, 17 სექტემბერს, საბჭოთა მთავრობამ ყველა სახელმწიფოს, რომლებთანაც მას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, გაუგზავნა სპეციალური ნოტა, სადაც განაცხადა, რომ სსრ კავშირი მათთან ურთიერთობაში შემდგომშიაც ნეიტრალიტეტის პოლიტიკას გაატარებს. როგორც ცნობილია, ჩვენი ჯარი პოლონეთის ტერიტორიაზე მხოლოდ მას შემდეგ შევიდა, როცა პოლონეთის სახელმწიფო დაიშალა და ფაქტიურად შესწყვიტა არსებობა. ასეთი ფაქტებისადმი ნეიტრალურად დარჩენა ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო, რადგან ამ ამბების შედეგად ჩვენს წინაშე დადგა ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების მწვავე საკითხები. ამასთან საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რაც შეიქმნა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოძმე მოსახლეობისათვის, რომელიც დაშლილ პოლონეთში ბედის ანაბარა აღმოჩნდა მიტოვებული.

მერმინდელმა ამბებმა სავსებით დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ახალი ურთიერთობა აგებულია ურთიერთ ინტერესთა მტკიცე ბაზაზე. ყოფილ პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილების შესვლის შემდეგ წამოიჭრა სსრ კავშირისა და გერმანიის სახელმწიფო ინტერესთა გამიჯნვის სერიოზული საკითხები. ეს საკითხები ურთიერთ თანხმობით სწრაფად იქნა მოწესრიგებული. გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ, რაც დადებულ იქნა სექტემბრის დამლევს, განამტკიცა ჩვენი ურთიერთობა გერმანიის სახელმწიფოსთან.

გერმანიის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში განისაზღვრებოდა, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ გერმანია ცდილობდა დაემსხვრია ბორკილები ვერსალის ხელშეკრულებისა, რომლის შემოქმედნიც იყვნენ ინგლისი და საფრანგეთი ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური მონაწილეობით. საბოლოო ანგარიშით, სწორედ ამან გამოიწვია ახლანდელი ომი ევროპაში.

საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გერმანიასთან შენდებოდა სხვა საფუძველზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ომის შემდგომი ვერსალის სისტემის გამარადისების ინტერესებთან. ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ ძლიერი გერმანია ევროპაში მტკიცე მშვიდობიანობის აუცილებელი პირობაა. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს შეიძლება გერმანია „უბრალოდ გამოიყვანო მწყობრიდან“ და არ მიიღო სათვალავში. ის სახელმწიფოები, რომლებიც ეძლევიან ამ სულელურ და საშიშ ოცნებას, ვერ ითვალისწინებენ ვერსალის სავალალო გამოცდილებას, თავისთავს ანგარიშს არ აძლევენ გერმანიის გაზრდილ ძლიერებაში და არ ესმით, რომ ვერსალის განმეორების ცდა ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, რომელიც ძირფესვიანად განირჩევა 1914 წლის ვითარებისაგან, — შეიძლება მათთვის კრახით დამთავრდეს.

ჩვენ განუხრელად მივისწრაფოდით გერმანიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ და ყოველნაირად ვესალმებოდით ამგვარსავე მისწრაფებას თვით გერმანიაში. ახლა ჩვენი ურთიერთობა გერმანიის სახელმწიფოსთან აგებულია მეგობრული ურთიერთობის ბაზაზე, იმაზე, რომ ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ გერმანიის მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ და, ამასთან ერთად, გვსურს ყოველნაირად ხელი შევუწყოთ საბჭოთა კავშირ-გერმანიის სამეურნეო ურთიერთობის განვითარებას ორივე სახელმწიფოს ურთიერთ სარგებლობის ინტერესებისათვის. სპეციალურად უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური მხრივ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობაში მომხდარმა ცვლილებებმა ხელსაყრელი წანამძღვრები შეჰქმნეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის სამეურნეო ურთიერთობის განვითარებისათვის. გერმანიის დელეგაციის უკანასკნელი სამეურნეო მოლაპარაკება მოსკოვში და საბჭოთა სამეურნეო დელეგაციის ახლანდელი მოლაპარაკება გერმანიაში ფართო ბაზას ამზადებენ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის საქონელბრუნვის განვითარებისათვის.

ახლა ნება მიბოძეთ შევჩერდე იმ მოვლენებზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ყოფილ პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩვენი ჯარის შესვლასთან. საჭირო აღარ არის ამ მოვლენათა მსვლელობის აწერა. ყოველივე ამაზე დაწვრილებით ითქვა ჩვენს პრესაში და თქვენ, ამხანაგო დეპუტატებო, კარგად იცნობთ საქმის ფაქტიურ მხარეს. ვიტყვი მხოლოდ ყველაზე არსებითს.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პოლონეთის სახელმწიფოს სრული დაშლის მომენტში ჩვენი მთავრობა ვალდებული იყო დახმარების ხელი გაეწვდინა **დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის** ტერიტორიაზე მცხოვრები უკრაინელი ძმებისა და ბელორუსი ძმებისათვის. იგი ასეც მოიქცა **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, დეპუტატები ფეხზე დგებიან და ოვაციას მართავენ)**. წითელი არმია ამ რაიონებში უკრაინელი და ბელორუსი მოსახლეობის საყოველთაო თანაგრძნობით შევიდა. ეს მოსახლეობა ჩვენს ჯარს ეგებებოდა როგორც თავის განმათავისუფლებელს პანების მხრივ ჩაგვრისაგან, პოლონელ მემამულეთა და კაპიტალისტთა მხრივ ჩაგვრისაგან.

ამ რაიონებში წითელი არმიის საბრძოლო წინსვლის დროს ჩვენი ჯარის ნაწილებს ალაგ-ალაგ სერიოზული შეტაკებები ჰქონდათ. პოლონეთის ჯარის ნაწილებთან და, მაშასადამე, მსხვერპლიც იყო. თუ როგორი იყო ეს მსხვერპლი შემდეგიდან სჩანს. ბელორუსიის ფრონტზე წითელი არმიის ნაწილებში, უფროსთა და მერიგეთა შემადგენლობის ჩათვლით, ჩვენ მოგვიკლეს 246 და დაგვიჭრეს 503, ხოლო სულ — 749 კაცი. უკრაინის ფრონტზე უფროსთა და მერიგეთა შემადგენლობიდან ჩვენ მოგვიკლეს 491 და დაგვიჭრეს 1.359, ხოლო სულ — 1.850 კაცი. მაშასადამე, წითელი არმიის მიერ დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე გაღებული მსხვერპლის საერთო რაოდენობა შეადგენს: 737 მოკლულსა და 1.862 დაჭრილს, ესე იგი სულ 2.599 კაცს. რაც შეეხება ჩვენს საომარ ნადავლს პოლონეთში, იგი შეადგენს 900-ზე მეტ ქვემეხს, 10.000-ზე მეტ ტყვიამფრქვევს, 300 ათასზე მეტ შაშხანას, 150 მილიონზე მეტ შაშხანის ვაზნას, 1 მილიონამდე საარტილერიო ყუმბარას, 300-მდე თვითმფრინავს და სხვ.

სსრ კავშირის ხელში გადასული ტერიტორია თავისი სივრცით ევროპის დიდი სახელმწიფოს ტერიტორიას უდრის. მაგალითად, დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორია აღწევს 108 ათას კვადრატულ კილომეტრს, 4 მილიონი 800 ათასი კაცისაგან შემდგარი მოსახლეობით. დასავლეთ უკრაინის ტერიტორია შეადგენს 88 ათას კვადრატულ კილომეტრს, 8 მილიონი კაცისაგან შემდგარი მოსახლეობით. ამგვარად, დასავლეთ უკრაინის ტერიტორია, რომელიც ჩვენს ხელში გადმოვიდა, დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიასთან ერთად შეადგენს 196 ათას კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მისი მოსახლეობა — დაახლოებით 13 მილიონ კაცს, რომელთაგანაც 7 მილიონზე მეტი უკრაინელია, 3-მილიონზე მეტი ბელორუსი, 1-მილიონზე მეტი პოლონელი და 1 მილიონზე მეტი ებრაელი.

ძნელია ამ მოვლენათა პოლიტიკური მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. დასავლეთ უკრაინიდან და დასავლეთ ბელორუსიიდან მიღებული ყველა ცნობა იმას მოწმობს, რომ მოსახლეობა აუწერელი აღტაცებით შეხვდა თავის განთავისუფლებას პანების ულლისაგან და მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ხელისუფლების ახალს დიად გამარჯვებას **(ხანგრძლივი ტაშის გრიალი)**. ამ უკანასკნელ დღეებში ჩატარებულმა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრებათა არჩევნებმა, რომლებიც იქ პირველად მოეწყო საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე და ფარული კენჭისყრით, გვიჩვენეს, რომ ამ ოლქების მოსახლეობის სულ ცოტა 9/10 უკვე დიდი ხანია მომზადებული იყო საბჭოთა კავშირთან შეერთებისათვის. ლვოვსა და ბელოსტოკში სახალხო კრებათა მიერ მიღებული, ჩვენთვის ახლა უკვე ცნობილი გადაწყვეტილებანი მოწმობენ ხალხის არჩეულთა სრულ ერთსულოვნობას ყველა პოლიტიკურ საკითხში.

გადავიდეთ ჩვენს ურთიერთობაზე ბალტიისპირა ქვეყნებთან. როგორც ვიცით, აქაც არსებითი ცვლილებანი მოხდა.

საბჭოთა კავშირის ურთიერთობას **ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან** საფუძვლად უძევს 1920 წელს დადებული სათანადო სამშვიდობო ხელშეკრულებანი. ამ ხელშეკრულებათა თანახმად, ესტონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა მიიღეს, ამასთან საბჭოთა კავშირი მთელ განვლილ პერიოდში უცვლელად ანხორციელებდა მეგობრულ პოლიტიკას ამ ახლადშექმნილ მცირე სახელმწიფოთა მიმართ. ამით გამოიხატა საბჭოთა პოლიტიკის ძირფესვიანი განსხვავება მეფის რუსეთის პოლიტიკისაგან, რომელიც მხეცურად სჩაგრავდა პატარა ხალხებს, რომელიც არ აძლევდა მათ დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების რაიმე შესაძლებლობას, რომელმაც ამ ხალხებს მრავალი მძიმე მოსაგონარი დაუტოვა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირ-ესტონეთის, საბჭოთა კავშირ-ლატვიისა და საბჭოთა კავშირ-ლიტვის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარების განვლილი ორი ათეული წლის გამოცდილებამ ხელსაყრელი წანამძღვრები შეჰქმნა სსრ კავშირისა და ბალტიისპირა მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ და სხვა ყოველ ურთიერთობათა შემდგომი განმტკიცებისათვის. ესევე ცხადჰყო უკანასკნელმა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის წარმომადგენლებთან და იმ ხელშეკრულებებმა, რომლებიც ამ მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილ იქნა მოსკოვში.

თქვენ იცით, რომ საბჭოთა კავშირმა ისეთი ურთიერთდახმარების პაქტები დასდო ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან, რომელთაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ამ პაქტების პრინციპული საფუძველი ერთნაირია. ისინი დაფუძნებულია ურთიერთდახმარებაზე, ერთი მხრით, საბჭოთა კავშირსა და, მეორე მხრით, ესტონეთსა, ლატვიასა და ლიტვას შორის და ითვალისწინებენ ერთმანეთისათვის სამხედრო დახმარებასაც რომელიმე მათგანზე თავდასხმის შემთხვევაში. ამ ქვეყნების განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ქვეყნებისა, რომლებიც, განსაკუთრებით ბალტიის ზღვის მხრიდან, სსრ კავშირის ერთგვარ მისასვლელებს წარმოადგენენ, ეს პაქტები შესაძლებლობას აძლევენ საბჭოთა კავშირს სამხედრო-საზღვაო ბაზები და აეროდრომები იქონიოს ესტონეთისა და ლატვიის განსაზღვრულ პუნქტებში, ხოლო ლიტვის მიმართ აწესებენ საბჭოთა კავშირთან ერთად ლიტვის საზღვრის დაცვას. საბჭოთა კავშირის ამ სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების შექმნა ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ტერიტორიაზე და ამ ბაზებისა და აეროდრომების დასაცავად, განსაზღვრული რაოდენობის წითელარმიული ნაწილების შეყვანა თავდაცვის საიმედო დასაყრდენს უზრუნველჰყოფს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ თვით ბალტიისპირა სახელმწიფოებისათვისაც და ამით სამსახურს უწევს მშვიდობიანობის დაცვის საქმეს, რითაც ჩვენი ხალხები დაინტერესებული არიან.

ამ უკანასკნელ ხანებში ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან ჩატარებულმა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ ცხადჰყო, რომ ჩვენსა და მათ შორის არსებობს საკმაო ნდობა და იმის ჯეროვანი გაგება, რომ ამ სამხედრო-თავდაცვითი ღონისძიებათა განხორციელება საჭიროა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე თვით ამ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის. მოლაპარაკების დროს სავსებით გამოირკვა, რომ მისი მონაწილენი მიისწრაფვიან მშვიდობიანობის დაცვისაკენ დაჩვენი ხალხების უშიშროების უზრუნველყოფისაკენ, ჩვენი ხალხებისა, რომლებიც მშვიდობიან შრომას ეწევიან. ყოველივე ამან უზრუნველჰყო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება და ურთიერთდახმარების პაქტების დადება, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

აღნიშნული ურთიერთდახმარების პაქტების განსაკუთრებული ხასიათი სრულიადაც არ მოასწავებს საბჭოთა კავშირის რაიმე ჩარევას ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საქმეებში, როგორც ამის დახატვას ცდილობს საზღვარგარეთული პრესის ზოგიერთი ორგანო. პირიქით, ურთიერთდახმარების ყველა ეს პაქტი მტკიცედ ითვალისწინებს პაქტის დამდებ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ხელშეუხებლობას და მეორე სახელმწიფოს საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს. ეს პაქტები გამომდინარეობენ მეორე მხარის სახელმწიფო, სოციალური და ეკონომიური სტრუქტურის ურთიერთ პატივისცემიდან და მათ უნდა განამტკიცონ ჩვენს ხალხებს შორის მშვიდობიანი კეთილმეზობლური თანამშრომლობის საფუძველი. ჩვენ ვიცავთ დადებული პაქტების პატიოსან და პუნქტუალურ განხორციელებას სრული სამაგიეროს პირობების საფუძველზე და ვაცხადებთ, რომ ლაყბობა ბალტიისპირა ქვეყნების გასაბჭოების შესახებ ხელსაყრელია მხოლოდ ჩვენი საერთო მტრებისა და ყოველგვარი ანტისაბჭოთა პროვოკატორებისათვის.

ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან პოლიტიკური ურთიერთობის მიღწეული გაუმჯობესების საფუძველზე, საბჭოთა კავშირმა დიდი ანგარიში გაუწია ამ სახელმწიფოთა სამეურნეო საჭიროებას და სათანადო სავაჭრო შეთანხმებანი დასდო მათთან. ამ სამეურნეო შეთანხმებებთან დაკავშირებით, ბალტიისპირა ქვეყნებთან საქონელბრუნვა რამდენჯერმე დიდდება და მას შემდგომი ზრდის კარგი პერსპექტივა აქვს. იმ პირობებში, როდესაც ევროპის ყველა ქვეყნის ვაჭრობა, მათ შორის ნეიტრალური სახელმწიფოებისაც, უდიდეს სიძნელეებს განიცდის, სსრ კავშირის ამ ეკონომიურ შეთანხმებებს ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან ფრიად დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს მათთვის.

ამგვარად, სსრ კავშირსა და ესტონეთსა, ლატვიასა და ლიტვას შორის მომხდარი დაახლოება ხელს შეუწყობს ჩვენი ბალტიისპირა მეზობლების სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის უფრო სწრაფ აღმავლობას და საერთოდ ხალხთა კეთილდღეობას.

პატარა ქვეყნების მიმართ საბჭოთა პოლიტიკის პრინციპების განსაკუთრებით მკაფიო დემონსტრაციას ვხედავთ იმ ხელშეკრულების მაგალითით, რომლითაც ლიტვის რესპუბლიკას გადაეცა ქალაქი ვილნო და ვილნოს ოლქი. ამით ლიტვის სახელმწიფო, რომელსაც ორნახევარი მილიონი მცხოვრები ჰყავს, მნიშვნელოვნად აფართოებს თავის ტერიტორიას, 550 ათასი კაცით ადიდებს თავის მოსახლეობას და იძენს ქალაქ ვილნოს, რომლის მცხოვრებთა რიცხვიც თითქმის ერთიორად აღემატება ლიტვის დღევანდელი დედაქალაქის მოსახლეობას. საბჭოთა კავშირი დასთანხმდა ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს გადაცემაზე არა იმიტომ, რომ იქ ლიტველი მოსახლეობა სჭარბობდეს. არა, ვილნოში უმრავლესობას არალიტველი მოსახლეობა შეადგენს. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ანგარიში გაუწია იმას, რომ ქალაქი ვილნო, რომელიც პოლონეთმა ძალით მოსწყვიტა ლიტვას, ლიტვას უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ისეთი ქალაქი, რომელთანაც დაკავშირებულია, ერთი მხრით, ლიტვის სახელმწიფოს ისტორიული წარსული, მეორე მხრით კი, ლიტველი ხალხის ეროვნული მისწრაფებანი. საზღვარგარეთულ პრესაში აღნიშნული იყო, რომ ისტორიაში ჯერ ისეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ დიდ სახელმწიფოს თავისი ნებით მცირე სახელმწიფოსათვის ასეთი დიდი ქალაქი მიეცეს. ეს აქტი მით უფრო მკაფიოდ ცხადჰყოფს საბჭოთა კავშირის კეთილსურვილს.

განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ჩვენი ურთიერთობა **ფინეთთან**. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ფინეთში უფრო მეტად მჟღავნდება სხვადასხვაგვარი გარეშე გავლენა მესამე სახელმწიფოთა მხრივ. მაგრამ მიუდგომელმა ადამიანებმა უნდა აღიარონ, რომ საბჭოთა კავშირისა და, განსაკუთრებით ლენინგრადის, უშიშროების უზრუნველყოფის იგივე საკითხები, რომლებიც ესტონეთთან მოლაპარაკების დროს იდგნენ, დასმულია ფინეთთან მოლაპარაკების დროსაც. შეიძლება ითქვას, რომ უშიშროების საკითხი საბჭოთა კავშირისათვის აქ რამდენადმე უფრო მწვავედაც სდგას, რამდენადაც საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი ქალაქი, მოსკოვის შემდეგ, სულ 32 კილომეტრზე მდებარეობს ფინეთის საზღვრიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ლენინგრადი მეორე სახელმწიფოს საზღვრიდან იმაზე ნაკლები მანძილითაა დაცილებული, ვიდრე ეს საჭიროა თანამედროვე შორსმსროლელი ქვემეხების საარტილერიო სროლისათვის. მეორე მხრით, ლენინგრადის საზღვაო მისასვლელები მნიშვნელოვნად არის აგრეთვე დამოკიდებული იმაზე — მეგობრული თუ მტრული პოზიცია უკავია საბჭოთა კავშირის მიმართ ფინეთს, რომელსაც ეკუთვნის ფინეთის ყურის მთელი ჩრდილო ნაწილი და ფინეთის ყურის ცენტრალური ნაწილის გასწვრივ მდებარე ყველა კუნძული.

თუ მხედველობაში იქნება მიღებული ასეთი მდგომარეობა და აგრეთვე ევროპაში შექმნილი ვითარება, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ფინეთი ჯეროვან გაგებას გამოიჩენს.

რას ემყარებოდა საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ფინეთთან მთელი ამ წლების განმავლობაში? ცნობილია, რომ ამ ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს 1920 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ბალტიისპირა ჩვენს სხვა მეზობლებთან დადებულ ხელშეკრულებათა ტიპისაა. საბჭოთა კავშირმა თავისი თავისუფალი ნება-სურვილით უზრუნველჰყო ფინეთის დამოუკიდებელი და თავისთავადი არსებობა. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეეძლო, რომელიც ეროვნებათა თავისუფალი განვითარების პრინციპს აღიარებს. უნდა ითქვას, რომ არცერთს მთავრობას რუსეთში, გარდა საბჭოთა მთავრობისა, არ შეუძლია შეურიგდეს დამოუკიდებელი ფინეთის არსებობას ზედ ლენინგრადის კარებთან. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს კერენსკი-წერეთლის „დემოკრატიული“ მთავრობის მაგალითი, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ლვოვ-მილიუკოვის მთავრობაზე და, მით უმეტეს, მეფის მთავრობაზე. ეჭვს გარეშეა, ამ მნიშვნელოვან გარემოებას შეეძლო კარგი წანამძღვარი ყოფილიყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის გაუმჯობესე-

(დასასრული მე-2 გვ.)

# სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე, რიგგარეშე სესია

## საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

### სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე 1939 წ. 31 ოქტომბერს

(დასასრული)

ბისათვის, რომლითაც, როგორც სჩანს, ფინეთი არანაკლებ დაინტერესებულია, ვიდრე საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო ჩვენი ინიციატივით. რა არის ამ მოლაპარაკების საგანი? ძნელი არ არის იმის გაგება, რომ დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც ევროპის ცენტრში უდიდეს სახელმწიფოთა შორის ჩაღდება ომი, რომელმაც შესაძლოა დიდი მოულოდნელობა და საფრთხე შეუქმნას ევროპის ყველა სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირს არამარტო უფლება აქვს, არამედ ვალდებულიც არის სერიოზული ზომები მიიღოს თავისი უშიშროების განმტკიცებისათვის. ამასთან ბუნებრივია, რომ საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით ზრუნავს ფინეთის ყურისათვის, რომელიც ლენინგრადის საზღვაო მისასვლელს წარმოადგენს, აგრეთვე იმ სახმელეთო საზღვრისათვის, რომელიც რაღაც 30 კილომეტრზეა ლენინგრადიდან. მე მოგაგონებთ, რომ ლენინგრადის მოსახლეობამ სამნახევარ მილიონს მიაღწია, რაც თითქმის უდრის მთელი ფინეთის მოსახლეობას, რომელიც 3 მილიონ 650 ათასს შეადგენს. **(დარბაზში სიცილია).**

მგონია, საფუძველი არა გვაქვს შევჩერდეთ იმ ჭორებზე, რომელსაც საზღვარგარეთის პრესა ავრცელებს ფინეთთან მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადებათა შესახებ. ზოგიერთი ამტკიცებს, თითქოს სსრ კავშირი „მოითხოვს“ ქალ. ვიპურის (ვიბორგი) და ლადოგის ტბის ჩრდილოეთ ნაწილს. ჩვენი მხრივ ვიტყვით, რომ ეს პირწმინდა ჭორი და სიცრუეა. მეორენი ამტკიცებენ, რომ სსრ კავშირი „მოითხოვს“ გადასცენ მას ალანდის კუნძულები. ესეც ისეთივე ჭორი და სიცრუეა. ლაყბობენ კიდევ რაღაც პრეტენზიებზე, რომლებიც თითქოს საბჭოთა კავშირს აქვს შვეციისა და ნორვეგიის მიმართ. მაგრამ ეს უბოდიშო სიცრუე უარყოფასაც არ საჭიროებს **(საერთო სიცილი).** სინამდვილეში ფინეთთან მოლაპარაკების დროს ჩვენ მიერ წამოყენებული წინადადებანი მაქსიმალურად მცირე მოთხოვნებს შეიცავენ და იმ მინიმუმით განისაზღვრებიან, ურომლისოდაც შეუძლებელია სსრ კავშირის უშიშროების უზრუნველყოფა და ფინეთთან მეგობრული ურთიერთობის მოგვარება.

ფინეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება, რისთვისაც ფინეთის მთავრობამ მოსკოვს მოავლინა ბ-ნნი პაასიკივი და ტანერი, იმით დავიწყეთ, რომ წინადადება მივეცით დაგვედო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთდახმარების პაქტი, დაახლოებით იმავე ტიპისა, როგორიც არის ბალტიისპირა სხვა სახელმწიფოებთან ჩვენს მიერ დადებული ურთიერთდახმარების პაქტები. მაგრამ, რამდენადაც ფინეთის მთავრობამ განგვიცხადა, რომ ასეთი პაქტის დადება მის მიერ დაკავებული აბსოლუტური ნეიტრალიტეტის პოზიციის საწინააღმდეგო იქნებოდა, ჩვენ დაჟინებით აღარ მოგვითხოვნია ჩვენი წინადადების მიღება. მაშინ წინადადება მივეცით გადავსულიყავით კონკრეტულ საკითხებზე, რომლებითაც ჩვენ დაინტერესებული ვართ სსრ კავშირის უშიშროების და, განსაკუთრებით, ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უშიშროებისა, როგორც ზღვიდან—ფინეთის ყურეში, ისე ხმელეთიდან, ლენინგრადთან სასაზღვრო ხაზის მეტისმეტი სიახლოვის გამო. ჩვენ წინადადება მივეცით შევთანხმებულიყავით იმაში, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარი კარელიის ყელზე გადაგვეწია ლენინგრადის ჩრდილოეთით რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე. ამის ნაცვლად ჩვენ შევთავაზეთ ფინეთს საბჭოთა კარელიის ტერიტორიის ნაწილი, ერთიორად მეტი, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ფინეთს საბჭოთა კავშირისათვის უნდა გადმოეცა. ჩვენ წინადადება მივეცით შევთანხმებულიყავით აგრეთვე იმაში, რომ ფინეთს განსაზღვრული ვადით გადმოეცა იჯარით თავისი ტერიტორიის მცირე ნაკვეთი ფინეთის ყურის შემოსასვლელის რაიონში, რათა იქ სამხედრო-საზღვაო ბაზის მოწყობა შეგვძლებოდა. ფინეთის ყურის სამხრეთ შესასვლელთან, სახელდობრ ბალტიის ნავსადგურში, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ბაზის არსებობისას, როგორც ეს საბჭოთა კავშირ-ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტით არის დათქმული, ფინეთის ყურის ჩრდილოეთ შესასვლელთან სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნა სავსებით უზრუნველჰყოფდა ფინეთის ყურის უშიშროებას სხვა სახელმწიფოთა მხრივ მტრული ხელყოფის წინააღმდეგ. ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეთი ბაზის შექმნა შეესაბამება არა მარტო საბჭოთა კავშირის ინტერესებს, არამედ თვით ფინეთის უშიშროებასაც. ჩვენი სხვა წინადადებანი და, კერძოდ, ჩვენი წინადადება იმის შესახებ, რომ ფინეთის ყურეში მდებარე ზოგიერთი კუნძულის ტერიტორია, აგრეთვე „რიბაჩისა“ და „სრედნის“ ნახევარკუნძულების ნაწილი გადაგვიცვალონ ორმაგი ზომის ტერიტორიაზე საბჭოთა კარელიაში, როგორც სჩანს, წინააღმდეგობას არ იწვევს ფინეთის მთავრობის მხრით. ზოგიერთ ჩვენ წინადადებათა მიმართ უთანხმოება ჯერ კიდევ დაძლეული არ არის, ხოლო ფინეთის დათმობანი ამ მხრივ, მაგალითად, ტერიტორიის ნაწილობრივი დათმობა, კარელიის ყელზე აშკარად ვერ აღწევს მიზანს.

შემდეგ ჩვენ მთელი რიგი ნაბიჯები გადავდგით, რათა შევთანხმებოდით ფინეთს. ჩვენ ვთქვით, რომ, თუ მიღებული იქნებოდა ჩვენი ძირითადი წინადადებანი, მზად ვიქნებოდით წინააღმდეგობა აღარ გაგვეწია ალანდის კუნძულების შეიარაღებისათვის, რასაც დიდიხანია დაჟინებით მოითხოვს ფინეთის მთავრობა. მაგრამ ჩვენ დავთქვით, რომ ალანდის კუნძულების შეიარაღების წინააღმდეგი არ ვიქნებით იმ შემთხვევაში, თუ ეს შეიარაღება ოვით ფინეთის ნაციონალური ძალებით მოხდება და რომ ამ შეიარაღებაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებენ მესამე ქვეყნები, რამდენადაც არც სსრ კავშირი იღებს მონაწილეობას. ჩვენ წინადადება მივეცით აგრეთვე ფინეთს მოხდეს კარელიის ყელზე მდებარე საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრის ყველა გამაგრებული რაიონების განიარაღება, რაც სავსებით უნდა შეესაბამებოდეს ფინეთის ინტერესებს. შემდეგ ჩვენ სურვილი გამოვთქვით გაგვეძლიერებინა საბჭოთა კავშირ-ფინეთის თავდაუსხმელობის პაქტი დამატებითი ურთიერთგარანტიებით. დასასრულ, საბჭოთა კავშირ-ფინეთის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცება, უეჭველია, საუცხოო ბაზა იქნებოდა ჩვენს ქვეყნებს შორის სამეურნეო ურთიერთობის სწრაფი განვითარებისთვისაც.

ამგვარად, ჩვენ მზად ვართ შევუთანხმდეთ ფინეთს იმ საკითხებში, რომლებითაც იგი განსაკუთრებით დაინტერესებულია.

ყოველივე ამის შემდეგ არა გვგონია ფინეთმა საბაბი ეძებოს განზრახული შეთანხმების ჩაშლისათვის. ეს არ შეესაბამება საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკას და, რასაკვირველია, სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ფინეთს.

დარწმუნებული ვართ, რომ ფინეთის ხელმძღვანელი წრეები მართებულად გაიგებენ საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელობას და ფინეთის მოღვაწეები არ დაჰყვებიან რომელიმე ანტისაბჭოთა ზეგავლენას და წაქეზებას ვისი მხრივაც უნდა იყოს.

მაგრამ მე უნდა გაცნობოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმაც კი მართებულად მიიჩნია ჩარეულიყო ამ საკითხებში, რაც ძნელად შეესაბამება ამერიკის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. 12 ოქტომბერს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. კალინინის სახელზე გამოგზავნილ თავის მიმართვაში ბ-ნმა რუზველტმა იმედი გამოსთქვა, რომ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის შენარჩუნებული და განვითარებული იქნება მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობა. შეიძლება კაცს ეგონოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უკეთესად აქვთ საქმე, ვთქვათ, ფილიპინებთან ან კუბასთან, რომლებიც დიდიხანია თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, მაგრამ ვერ მიუღიათ, ვიდრე საბჭოთა კავშირს ფინეთთან, რომელმაც უკვე დიდიხანია მიიღო საბჭოთა კავშირისაგან თავისუფლებაცა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც.

ამხ. კალინინმა ბ-ნ რუზველტის მიმართვაზე შემდეგნაირად უპასუხა:

„მართებულად მიმაჩნია მოგაგონოთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ ფინეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საბჭოთა მთავრობის თავისუფალი ნება-სურვილით აღიარებულ იქნა 1917 წლის 31 დეკემბერს, და რომ ფინეთის სუვერენიტეტი უზრუნველყოფილია მისთვის რუსეთის სფსრ და ფინეთს შორის დადებული 1920 წლის 14 ოქტომბრის ხელშეკრულებით. საბჭოთა მთავრობის აღნიშნული აქტებით განსაზღვრული იყო საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები. აღ პრინციპების შესაბამისად სწარმოებს ახლანდელი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ფინეთის მთავრობას შორის. წინააღმდეგ იმ ტენდენციური ვერსიებისა, რომლებსაც, ცხადია, ის წრეები ავრცელებენ, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი ევროპის მშვიდობიანობით, აღნიშნული მოლაპარაკების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ურთიერთობის განმტკიცება და ორივე ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის გაძლიერება საბჭოთა კავშირის და ფინეთის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ასეთი გარკვეული პასუხის შემდეგ სრულიად გასაგები უნდა იყოს, რომ თუ კი კეთილი ნება-სურვილი იქნება, ფინეთის მთავრობა დაეთანხმება ჩვენს მინიმალურ წინადადებებს, რომლებიც არა მარტო არ ეწინააღმდეგება ფინეთის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, არამედ განამტკიცებს მის საგარეო უშიშროებას და ფართო ბაზას ჰქმნის ჩვენს ქვეყნებს შორის პოლიტიკური და სამეურნეო ურთიერთობის შემდგომი ფართო განვითარებისათვის.

რამდენიმე სიტყვა **თურქეთთან** მოლაპარაკების შესახებ.

ამ მოლაპარაკების შინაარსის შესახებ საზღვარგარეთ ყოველგვარ ჭორებს სწერენ ზოგნი ამტკიცებენ, რომ სსრ კავშირს ვითომ მოითხოვს არტაანისა და ყარსის რაიონების გადმოცემა. ჩვენი მხრით ვიტყვით, რომ ეს სულერთიანად ჭორი და სიცრუეა. სხვები ამტკიცებენ,

[illegible]

ტია, რომ ომის საფრთხის გამო თურქეთი არ გაატარებს არაშავიზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემებს შავ ზღვაში ბოსფორზე გავლით, ეს მეორე. თურქეთმა უარჰყო სსრ კავშირის ორივე ეს დათქმა და ამით შეუძლებელი გახადა პაქტის დადება.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის მოლაპარაკებას არ მოჰყოლია პაქტის დადება, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ ხელი შეგვიწყო იმ მხრივ, რომ გამოგვერკვია მთელი რიგი ჩვენთვის საინტერესო პოლიტიკური საკითხები ან, ყოველ შემთხვევაში, მოგვესინჯა ნიადაგი მათ განსახილველად. თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ იცნობდე იმ სახელმწიფოთა ნამდვილ სახესა და პოლიტიკას, რომლებთანაც ურთიერთობას სერიოზული მნიშვნელობა აქვს. თურქეთის პოლიტიკაში ახლა ჩვენთვის ბევრი რამ გახდა გაცილებით უფრო ნათელი, როგორც მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად, ისე თურქეთის მთავრობის უკანასკნელი საგარეო-პოლიტიკური აქტების შედეგადაც.

როგორც ცნობილია, თურქეთის მთავრობამ ამჯობინა თავისი ბედი დაეკავშირებინა ევროპის იმ სახელმწიფოების განსაზღვრულ დაჯგუფებასთან, რომლებიც ომში იღებენ მონაწილეობას. მან ურთიერთ დახმარების პაქტი დასდო ინგლისთან და საფრანგეთთან, რომლებიც უკვე ორი თვეა აწარმოებენ ომს გერმანიის წინააღმდეგ. ამით თურქეთმა საბოლოოდ უკუაგდო ნეიტრალიტეტის ფრთხილი პოლიტიკა და მოექცა ევროპის გაჩაღებული ომის ორბიტში. ამით მეტად კმაყოფილნი არიან როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთშიც, რომლებსაც უნდათ რაც შეიძლება მეტი ნეიტრალური ქვეყნები ჩაითრიონ ომის თავიანთ სფეროში. სანანებლად ხომ არ გაუხდება ეს თურქეთს — ამაზე მარჩიელობას არ დავიწყებთ. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ჩვენ გვიხდება მხოლოდ აღვნიშნოთ ეს ახალი მომენტები ჩვენი მეზობლის საგარეო პოლიტიკაში და ყურადღებით ვადევნოთ თვალი ამბების განვითარებას.

თუ თურქეთმა ახლა ერთგვარად შეიბოჭა ხელ-ფეხი და გადაიხარა იქითკენ, რომ მხარი დაუჭიროს ერთერთ მეომარ ქვეყანას, რაც მისთვის სარისკოა, მაშინ, ალბათ, თურქეთის მთავრობას შეგნებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რაც მან ამით იკისრა. მაგრამ ეს როდია ის საგარეო პოლიტიკა რომელსაც საბჭოთა კავშირი ატარებს და რომლის მეოხებითაც საბჭოთა კავშირმა ცოტა საგარეო-პოლიტიკური წარმატებანი როდი უზრუნველჰყო. საბჭოთა კავშირი ამჯობინებს მომავალშიც ჰქონდეს ხელ-ფეხი გახსნილი, თანმიმდევრობით გაატაროს ნეიტრალიტეტის თავისი პოლიტიკა და არა მარტო არ შეუწყოს ხელი ომის გაჩაღებას, არამედ მხარი დაუჭიროს მშვიდობიანობის ალდგინას. რისი მისწრაფებანიც უკვე არსებობენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომელსაც სსრ კავშირი განუხრელად ატარებს, შემდეგშიც საუკეთესო პერსპექტივები აქვს. ამ პოლიტიკას ჩვენ შავი ზღვის რაიონშიაც გავატარებთ იმ რწმენით, რომ სავსებით უზრუნველვყოფთ მის სათანადოდ გატარებას, როგორც ამას საბჭოთა კავშირისა და მისდამი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოების ინტერესები მოითხოვენ. **(ტაში).**

ახლა **იაპონიასთან** ურთიერთობის შესახებ.

უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობაში ერთგვარი გაუმჯობესება გვაქვს. ეს გაუმჯობესება დაისახა მის შემდეგ, რაც ამასწინათ მოსკოვში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის შედეგადაც ლიკვიდირებულია ცნობილი კონფლიქტი მონღოლეთ-მანჯურიის საზღვარზე.

მთელი რიგი თვეების განმავლობაში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს განმავლობაში და სექტემბრის შუა რიცხვებამდი, ნომანხანის რაიონში, რომელიც მონღოლეთ-მანჯურიის საზღვარს ეკვრის, სწარმოებდა სამხედრო მოქმედება იაპონია-მანჯურიისა და საბჭოთა კავშირ - მონღოლეთის ჯარების მონაწილეობით. ამ პერიოდის საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობას იღებდა ყოველგვარი სახის ჯარი, ავიაციისა და მძიმე არტილერიის ჩათვლით, ბრძოლას კი ზოგჯერ ფაღრიანად სისხლისმღვრელი ხასიათი ჰქონდა. კონფლიქტმა, რომელიც არავისთვის საჭირო არ იყო, ცოტა მსხვერპლი როდი გამოიწვია ჩვენს მხარეზე. მაგრამ ეს მსხვერპლი რამდენჯერმე უფრო მეტი იყო იაპონია-მანჯურიის მხარეზე. ბოლოს, იაპონიამ ჩვენ მთავრობათ წინადადებით მოგვმართა ამ კონფლიქტის ლიკვიდაცია და ჩვენც ხალისით დავაკმაყოფილეთ იაპონიის მთავრობის თხოვნა.

[illegible]

ჯურის საზღვარზე სულ სხვა რამ დავინახეთ. აქ დემონსტრირებულ იქნა ურთიერთდახმარების იმ პაქტების მნიშვნელობა, რომლებსაც ხელს აწერს საბჭოთა კავშირი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

რაც შეეხება აღნიშნულ კონფლიქტს, საბჭოთა კავშირ-იაპონიის შორის 15 სექტემბერს მოსკოვში დადებული შეთანხმების შედეგად, იგი ლიკვიდირებულ იქნა და მშვიდობიანობა სავსებით აღდგენილია მონღოლეთ-მანჯურიის საზღვარზე. ამითვე გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯი საბჭოთა კავშირ - იაპონიის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ.

მორიგ საკითხად ითვლება შერეული სასაზღვრო კომისიის შექმნა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთისა და იაპონია-მანჯურიის მხარეთა წარმომადგენლებისაგან. ამ კომისიამ უნდა განიხილოს ზოგიერთი სადაო სასაზღვრო საკითხი. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ თუ კეთილი სურვილი გამოჩენილ იქნება არა მარტო ჩვენი მხრით, მაშინ სასაზღვრო საკითხების საქმიანი განხილვის მეთოდი დადებით შედეგს მოგვცემს.

ამას გარდა, გამოირკვა, რომ შესაძლებელია დავიწყოთ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ვაჭრობის საკითხებზე. არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის საქონელბრუნვის განვითარება ორივე სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება.

ამგვარად, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ იაპონიასთან ჩვენს ურთიერთობაში დაისახა გაუმჯობესება. ახლა ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად შეიძლება ვიქონიოთ ამ ტენდენციის სწრაფი განვითარების იმედი. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით იმის გამორკვევა, თუ ამისათვის რამდენად სერიოზულად არის მომზადებული ნიადაგი იაპონიის წრეებში: ჩემი მხრით უნდა ვთქვა, რომ ჩვენ დადებითად ვეკიდებით იაპონიის ასეთს წინადადებებს, ამასთან იმ წინადადებებს ვუდგებით ჩვენი ძირითადი პოლიტიკური პოზიციისა და მშვიდობიანობის ინტერესებისათვის ზრუნვის თვალსაზრისით.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა სამხედრო კონტრაბანდისა და ნეიტრალური ქვეყნებიდან მეომარ ქვეყნებში იარაღის გატანის შესახებ.

ამ დღეებში გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის ნოტა ინგლისის 6 და 11 სექტემბრის ნოტების საპასუხოდ. ჩვენს ნოტაში ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის თვალსაზრისი სამხედრო კონტრაბანდის საკითხებზე და აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია სამხედრო კონტრაბანდას მიაკუთვნოს საკვები პროდუქტები, სათბობი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის და ტანისამოსი, რომ მასობრივი მოხმარების საგნების შეტანის აკრძალვა იმას ნიშნავს, რომ განუმზადო ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, ავადმყოფებს უბედურება და შიმშილით სიკვდილი. საბჭოთა მთავრობა ამ ნოტაში აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ამ საკითხების ისე ცალმხრივად გადაჭრა, როგორც ეს ინგლისმა ჩაიდინა, არამედ ეს საკითხები უნდა გადაიჭრას სახელმწიფოთა საერთო თანხმობით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ნეიტრალური ქვეყნები, აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი აღიარებენ ჩვენი პოზიციის სისწორეს და მიიღებენ ზომებს, რათა მეომარი ქვეყნების არმიებს შორის წარმოებული ომი არ გადაიქცეს ომად ბავშვების, ქალების, მოხუცების, ავადმყოფების წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა, როგორც ნეიტრალური ქვეყანა, რომელიც არ არის დაინტერესებული ომის გაჩაღებით, ყოველგვარ ზომებს მიიღებს იმისათვის, რომ ეს ომი ნაკლებად გამანადგურებელი გახადოს, შეასუსტოს იგი და დააჩქაროს მისი დამთავრება მშვიდობიანობის ინტერესებისათვის.

ასეთი პერსპექტივის თვალსაზრისით, სამართლიან ეჭვებს იწვევს ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილება მეომარ ქვეყნებში იარაღის შეტანის აკრძალვის (ემბარგოს) გაუქმების შესახებ. განა საეჭვო შეიძლება იყოს, რომ ამ გადაწყვეტილების შედეგი იქნება არა ომის შესუსტება და არა ომის დასასრულის მოახლოება, არამედ პირიქით — ომის გაძლიერება, გამწვავება და გაჭიანურება. რასაკვირველია, ამ გადაწყვეტილებას შეუძლია უზრუნველჰყოს დიდი მოგება ამერიკის სამხედრო მრეწველობისათვის. მაგრამ იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა ამ გარემოებას გაამართლოს ამერიკიდან იარაღის გატანის ემბარგოს გაუქმება? ცხადია, რომ არ შეუძლია.

ასეთია საერთაშორისო ვითარება ამჟამად.

ასეთია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები.

**(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველა დეპუტატი ფეხზე დგება).**

---

## საინფორმაციო ცნობა

### კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 31 ოქტომბრის გაერთიანებული სხდომის შესახებ

[illegible]

---

## დასავლეთ უკრაინის სახალხო კრება ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

[illegible] სავლეთ უკრაინის განთავისუფლებულ ხალხის ნება-სურვილით ჩვენს მიწა-წყალზე მუშათა და გლეხთა ხელისუფლება — საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ჩვენ პირველად ვიგრძენით თავი ნამდვილად თავისუფალ ადამიანებად, ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი შრომის, ჩვენი ბედის, ჩვენი ცხოვრების სრულუფლებიან ბატონ-პატრონებად. საშინელი სიზმარივით ვიგონებთ ჩვენს წარსულს, იმ ახლო წარსულ წყეულ დროს, როდესაც ხელფეხში ბორკილები გვქონდა გაყრილი, როდესაც ჩვენი მიწა-წყალი სისხლით იყო მორწყული, როდესაც ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში გამეფებული იყო პანების თვითნებობა, ძალადობა, შიმშილი და სიკვდილი. პოლონეთის ღორმუცელა კაპიტალისტები შეუბრალებლად უწევდნენ ექსპლოატაციას დასავლეთ უკრაინის მშრომელებს. ჩვენ ვიყავით ნამდვილი კოლონიური მონები, ყოველგვარ ადამიანურ უფლებას მოკლებულნი, უმუშევრობისა, სიღატაკისა და ნახევრადმშიერი არსებობისათვის განწირულნი. საზღვარი არა ჰქონდა სისასტიკეს პოლონელი მემამულისა, რომელიც დასავლეთ უკრაინელ გლეხს ართმევდა არა მარტო მიწას, არამედ ადამიანურ ღირსებასაც, ადამიანურ ცხოვრებასაც, და შიმშილსა და გადაშენებას უმზადებდა მას. პოლონეთის ჯურღმულებში იტანჯებოდა ჩვენი მუშა, გლეხი და მშრომელი ინტელიგენტი. ყველას, ვინც ხალხში განათლებისა და კულტურის სხივის შეტანას ცდილობდა, გააფთრებით ესხმოდა თავს პოლონელი შლიახტა — ხალხის კულტურის, პროგრესისა და განათლების ეს დაუძინებელი მტერი.

[illegible] ჩვენს მიწა-წყალზე. მხეცური შურისძიებით, პაციფიკაციის არაადამიანური საშინელებით, ხალხის სისხლით აქრობდა პოლონელი ჯალათი ხალხის მრისხანების ალს. მაგრამ პოლონეთის შლიახტა ამას როდი სჯერდებოდა. პოლონეთის ტუნჯი, მტაცებელმა მმართველებმა უსარგებლო ომში ჩააბეს ყოფილი პანების პოლონეთის ყველა ხალხი. რეალურად მოგველოდა სრული განადგურება და მოსპობა. აუცილებელი დამარცხება განიცადა რა ამ ომში, გაშმაგებული პოლონელი პანი, ოფიცერი და ჟანდარმი თავისი გაფთრებით მიუბრუნდა უიარაღო უკრაინულ სოფლებს, სწვავდა მათ, ადამიანებს ცოცხლად მარხავდა მიწაში, სთხრიდა თვალებს, ჰგლეჯდა ხეებს. ჩვენს მიწა-წყალზე საშინელი სისხლისღვრა დაიწყო. თითქოს, ჩვენი არსებობის უკანასკნელი ჟამი დადგა. და ამ მრისხანე ჟამს ჩვენ რადიოთი გავიგონეთ თქვენი, ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ. სიტყვები, რომლებმაც წითელი მოსკოვის კრემლის კედლებიდან მოაღწია ჩვენამდე. თავისუფალი საბჭოთა ხალხები ლაპარაკობდნენ თქვენი პირით, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ. თქვენ ამბობდით: საბჭოთა მთავრობას თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია დახმარების ხელი გაუწოდოს თავის ძმებს—უკრაინელებს და თავის ძმებს ბელორუსებს, რომლებიც პოლონეთში ცხოვრობენ. ეს ისეთი სიტყვები იყო, რომლებიც პოლონელი ბანდების ჩაგვრისაგან ხსნას მოასწავებდა ჩვენთვის. ეს სიტყვები ახალ ცხოვრებას გვიქადდა. ეს იყო

[illegible] ლება მოგვცა თავისუფლად გამოგვეთქვა ჩვენი ხალხის ნება-სურვილი — გვეტკიცია ის გზა, რომლითაც ჩვენი ხალხი ივლის თავისი ბედნიერი მომავლისაკენ. და ჩვენც შევასრულეთ ხალხის ნება-სურვილი. ჩვენს განთავისუფლებულ მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლება დავამყარეთ, გადავწყვიტეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოს მივმართოთ თხოვნით—გაერთიანოს უკრაინის ხალხი ერთიან სახელმწიფოდ და ამით ბოლო მოუღოს უკრაინის ხალხის საუკუნოებრივ გათიშვას. ჩვენ მივმართეთ მას თხოვნით მიგვიღოს თავისუფალი საბჭოთა ხალხების დიდად ძმურ ოჯახში—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც ჩვენს ხალხს სურს იაროს, ის გზა, რომლითაც წავლენ მომავალში მთელი მსოფლიოს ხალხები. ასეთია მთელი ჩვენი ხალხის ნება-სურვილი. და ჩვენც, ხალხის მიერ არჩეულებმა, უკრაინის სახალხო კრებაზე ერთსულოვნად დავადასტურეთ ეს.

გაუმარჯოს დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებულ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, რომელმაც პოლონეთის პანების ბატონობისა და ჩაგვრისაგან გაანთავისუფლა თავისი ძმები—უკრაინელები!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ მთავრობას და მის მეთაურს—ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს!**

გაუმარჯოს დასავლეთ უკრაინის მშრომელთა განთავისუფლების სულისჩამდგმელს—დიდ **სტალინს!**

---

## განთავისუფლებული ხალხის რჩეულნი მოსკოვში

### შეხვედრა კიევის ვაგზლის მოედანზე

ვრცელმა მოედანმა მოსკოვის კიევის ვაგზლის წინ სადღესასწაულო სახე მიიღო. დედაქალაქის 8.000-ზე მეტი მშრომელი შეიკრიბა აქ 31 ოქტომბერს დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების სრულუფლებიანი კომისიის შესახვედრად, რომელიც გამოგზავნილია, რათა სსრ კავშირის მთავრობას მოხსენება გაუკეთოს სახალხო კრების გადაწყვეტილებათა შესახებ. ვაგზალი მორთულია ალისფერი ბაირაღებით, ლოზუნგებით. შემხვედრთა კოლონების თავზე მოსჩანს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, წითელი ტილოები.

კიევის ვაგზლის ბაქანზე არიან საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ს. შჩერბაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. პ. პრონინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სრულ 10 საათზე ბაქანს უახლოვდება მატარებელი. შემხვედრთა ალფრთოვანებულ ტაშის გრიალში ვაგონიდან გამოდის დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების 63 დეპუტატი — პროფესორი სტუდინსკი, მასწავლებელი თრანკო, მჭედელი დუდა, გლეხი შკალუბინა და სხვები. მათთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. ბურმისტენკო, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ს. გრეჩუხა, არმიის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. ს. კ. ტიმოშენკო.

ჰქუხს „ინტერნაციონალი“, სტუმრებს ყვავილებს ესვრიან. ისინი აღელვებული არიან. ადამიანები, რომლებიც პოლონელ კაპიტალისტთა და მემამულეთა საშინელ ჩაგვრას განიცდიდნენ, სიტყვებს ვერ პოულობენ, რომ გამოსთქვან თავიანთი სიხარული, თავიანთი აღტაცება: დღეს ისინი თავიანთი ახალი ცხოვრების თავისუფალი ბატონპატრონნი არიან, დღეს ისინი იმყოფებიან საბჭოთა მიწა-წყლის შუაგულში, ქალაქში, სადაც ცხოვრობს და მუშაობს დიდი სტალინი.

ორკესტრის ხმაურში დეპუტატები მოედანზე გამოდიან. მათ მქუხარე ტაშით ეგებებიან. გაისმის შეძახილები თვისტომი ძმების, პოლონელი პანების უღლისაგან განთავისუფლებული უკრაინელების პატივსაცემად. მოედანზე ჰქუხს „ურა“ სოციალიზმის გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის პატივსაცემად, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის ამხანაგ ვოროშილოვის პატივსაცემად.

დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების წარმომადგენელთა შეხვედრისადმი მიძღვნილ მიტინგს ხსნის საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ს. შჩერბაკოვი. მისასალმებელი სიტყვით გამოდის მოსკოვის გორბუნოვის სახელობის ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ამხ. ნ. ი. კარცევი.

ტრიბუნაზე ადის დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების დეპუტატი ი. მ. შკალუბინა. თავის მღელვარე სიტყვას იგი ამბობს უკრაინულ ენაზე.

მიტინგის დამთავრების შემდეგ დეპუტატები ავტობუსებში სხდებიან და სასტუმროებში მიდიან. მოსკოველები გულთბილად ესალმებიან დასავლეთ უკრაინის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოვიდნენ სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში, რათა მოახსენონ საბჭოთა მთავრობას თავიანთი ხალხის ნებასურვილი. (საკდესი).

# თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება

## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

(გაგრძელება) *)

## ბერიას სახელობის რაიონი

**საარჩევნო ოლქი № 367**

**ცენტრი** — მე-94 სკოლა (კალინინის ქ. № 1).

**საზღვრები:** [illegible]

**საარჩევნო ოლქი № 368**

**ცენტრი** — მე-94 სკოლა (კალინინის ქ. № 1).

**საზღვრები:** [illegible]

**საარჩევნო ოლქი № 369**

**ცენტრი** — ბაღი (დავითაშვილის ქ. № 12).

**საზღვრები:** [illegible]

**საარჩევნო ოლქი № 370**

**ცენტრი** — ბაღი (დავითაშვილის ქ. № 12).

**საზღვრები:** [illegible] 4 და 2, დავითაშვილის ქუჩა № 31-დან № 41-მდე, წავკისის ქუჩა № 1 და № 3, საშუალო შესახვევის გადაჭრით, ტერასის ქუჩა (კენტი მხარე), შინდისის ქუჩა № 16-დან № 22-მდე, აქედან მთების ფერდობებზე, შინდისის მეორე ჩიხს იქით შინდისის პირველ ჩიხამდე კვარტალის გადაჭრით, ოქროყანის ქუჩა № 7-დან № 1-მდე, მესხის ქუჩა № 21/19, წყალსადენის ქუჩის გადაკვეთით № 6 სახლი, კვარტალის გადაჭრით მესხის მეორე შესახვევი; ამ ქუჩით № 19 და აქედან წყალსადინარის ქუჩით (კენტი მხარე) დავითაშვილის ქ. № 25-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 371**

**ცენტრი** — საბავშვო ბაღი (ვაჟა-ფშაველას შესახვევი, № 5).

**საზღვრები:** წყალსადინარის ქ. № 4 და № 2, დავითაშვილის ქ. №№ 23, 15, 11, 9, კვარტალის გადაჭრით ვაჟა-ფშაველას ქუჩა № 10, ვაჟა-ფშაველას შესახვევის გადაჭრით № 1-დან № 11-მდე, მესხის შესახვევი და მესხის ქ. № 16 და № 18.

**საარჩევნო ოლქი № 372**

**ცენტრი** — საბავშვო ბაღი (ვაჟა-ფშაველას შესახვევი, № 5).

**საზღვრები:** ჰონქაძის ქუჩა № 12-დან № 4-მდე, № 6-ის გამოკლებით, კვარტალის გადაჭრით ვაჟა-ფშაველას ქ. № 10, აქედან ვაჟა-ფშაველას შესახვევი № 2 და მთელი კენტი მხარე, მესხის მეორე შესახვევის გადაჭრით № 18, წყალსადინარის ქ. № 8, ოქროყანის ქ. № 1-დან № 5-მდე, კვარტალის გადაჭრით მთის ფერდობზე ჰონქაძის ქუჩის № 12-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 373**

**ცენტრი** — მე-43 სკოლა (ენგელსის ქ., № 50).

**საზღვრები:** ენგელსის ქ. № 43, მცირე შესახვევი № 3 და № 1, დავითაშვილის ქ. № 7, კვარტალშიგნით ჰონქაძის ქ. №№ 1, 2, 3, ლერმონტოვის ქ. № 26-დან № 24-ა-მდე, ჯაფარიძის ქ. № 19 და № 23, კვარტალშიგნით დავითაშვილის ქუჩა № 6-დან № 10-მდე, კვარტალის გადაჭრით ენგელსის ქ. № 43.

**საარჩევნო ოლქი № 374**

**ცენტრი** — მე-43 სკოლა (ენგელსის ქ., № 50).

**საზღვრები:** ენგელსის ქუჩა № 52 და № 35, ჯაფარიძის ქუჩის გადაჭრით № 25, კვარტალშიგნით დავითაშვილის ქ. № 8. აქედან კვარტალის გადაჭრით ენგელსის ქ. №№ 41, 39 და 50, მთის ფერდობით ენგელსის ქ. № 52-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 375**

**ცენტრი** — მწერალთა კავშირი (მაჩაბლის ქ. № 13).

**საზღვრები:** ენგელსის ქ. № 32-დან № 50-მდე და № 27, მაჩაბლის ქ. № 17.

**საარჩევნო ოლქი № 376**

**ცენტრი** — მწერალთა კავშირი (მაჩაბლის ქ. № 13).

**საზღვრები:** ენგელსის ქ. № 29-დან № 33-მდე, კვარტალშიგნით ჯაფარიძის ქ. № 22-დან № 18-მდე, კვარტალის გადაჭრით მახარაძის ქ. №№ 9 და 10, კვარტალშიგნით მაჩაბლის ქ. № 11-ა და № 12 და № 11-დან № 15-მდე, კვარტალშიგნით ენგელსის ქ. № 29.

**საარჩევნო ოლქი № 377**

**ცენტრი** — მე-72 სკოლა (ლერმონტოვის ქ. № 8).

**საზღვრები:** ენგელსის ქ. №№ 23 და 25, მაჩაბლის ქ. № 22-დან № 10-მდე, № 12-ის გამოკლებით, ლერმონტოვის ქ. №№ 14 და 12, კვარტალშიგნით წერეთლის ქ. №№ 19, 21 და 23.

**საარჩევნო ოლქი № 378**

**ცენტრი** — მე-72 სკოლა (ლერმონტოვის ქ. № 8).

**საზღვრები:** ენგელსის ქ. №№ 17, 21 და 30, წერეთლის ქ. № 24-დან № 10-მდე, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ქ. № 5-დან № 17-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 379**

**ცენტრი** — ცეკავშირი (ბერიას მოედანი № 7).

**საზღვრები:** ლერმონტოვის ქ. № 11-ა-დან № 15-ა-მდე, კვარტალშიგნით მაჩაბლის ქ. № 7 და ლუწი მხარე № 6 და № 4, კვარტალშიგნით კიროვის ქ. №№ 4 და 2. **ბერიას** მოედანი № 2, და ა.-კ. ფედერაციის ქუჩა № 3.

**საარჩევნო ოლქი № 380**

**ცენტრი**—ცეკავშირი (**ბერიას** მოედანი № 7).

**საზღვრები:** ლერმონტოვის ქ. № 15, კვარტალშიგნით, მახარაძის ქუჩის გადაკვეთით №№ 6 და 5, აქედან კვარტალშიგნით ჯაფარიძის ქუჩის გადაკვეთით №№ 10 და 15, ამ სახლიდან კვარტალშიგნით მახარაძის ქუჩამდე №№ 3 და 2, კიროვის ქ. № 14-დან № 4-მდე, აქედან კვარტალშიგნით მაჩაბლის ქ. №№ 2-ა, 3 და 5, კვარტალშიგნით ლერმონტოვის ქ. № 15.

**საარჩევნო ოლქი № 381**

**ცენტრი** — მე-14 სკოლა (მახარაძის ქ. № 4).

**საზღვრები:** მაჩაბლის ქ. № 9, აქედან კვარტალის გადაჭრით მახარაძის ქ. № 8 და № 7, ამ სახლიდან კვარტალის გადაჭრით ჯაფარიძის ქუჩამდე № 16 და № 14, ლერმონტოვის ქ. № 25-დან № 29-მდე, ჰონქაძის ქ. № 5 და 6, შემდეგ კვარტალშიგნით ჯაფარიძის ქუჩის გადაჭრით №№ 17 და 12, ლერმონტოვის ქ. № 25-დან № 17-მდე, მაჩაბლის ქუჩამდე № 9.

**საარჩევნო ოლქი № 382**

**ცენტრი** — მე-14 სკოლა (მახარაძის ქ. № 4).

**საზღვრები:** სკოლის ქ. №№ 8 და 6, ჯაფარიძის ქ. № 1-დან № 7-მდე, ამ სახლიდან კვარტალშიგნით ძერჟინსკის ქ. № 2, მახარაძის ქ. № 1, კვარტალის გადაჭრით ჯაფარიძის ქ. № 13, კვარტალშიგნით სკოლის ქუჩა № 8.

**საარჩევნო ოლქი № 383**

**ცენტრი** — მე-73 სკოლა (ჰონქაძის ქ. № 19).

**საზღვრები:** ჰონქაძის ქ. № 7-დან № 19-მდე და ლუწი მხარე № 14, კვარტალშიგნით მთის ფერდობით ფუნიკულორის სადგურამდე, **სტალინის** სახელობის პარკის ჩათვლით, ჰონქაძის ქუჩისაკენ № 1, ჩიტაძის ქ. № 15 და ლუწი მხარე № 10-დან № 6-მდე, ცხაკაიას ქ. № 6-დან № 2-მდე, სკოლის ქუჩა № 7-დან № 11-მდე და ლუწი მხარე — № 10, კვარტალშიგნით ჰონქაძის ქუჩამდე № 7.

**საარჩევნო ოლქი № 384**

**ცენტრი** — მე-73 სკოლა (ჰონქაძის ქ. № 19).

**საზღვრები:** სკოლის ქ. № 1-დან № 5-მდე, ცხაკაიას ქ. № 1-დან № 13-მდე, ჩიტაძის ქ. № 4 და № 3, ძერჟინსკის ქ. № 22-დან № 12-მდე, სკოლის ქუჩამდე № 1.

**საარჩევნო ოლქი № 385**

**ცენტრი** — ვაჭრობის სახალხო კომისარიატი (ჯაფარიძის ქ. № 13).

**საზღვრები:** სკოლის ქ. № 2 და № 4, ჯაფარიძის ქ. № 2 და № 4, კვარტალშიგნით ძერჟინსკის ქ. № 4, ძერჟინსკის ქ. № 1, კიროვის ქ. № 9-დან № 7-მდე, საბა-სულხანის ქ. № 2-დან № 10-მდე, კვარტალშიგნით ძერჟინსკის ქ. № 3, ძერჟინსკის ქ. №№ 6, 8, 10 და 13 სკოლის ქუჩასთან გადაკვეთამდე.

**საარჩევნო ოლქი № 386**

**ცენტრი**—ვაჭრობის სახალხო კომისარიატი (ჯაფარიძის ქ. № 13).

**საზღვრები:** კიროვის ქ. № 1-დან № 5-მდე, საბა-სულხანის ქ. № 1-დან № 9-მდე, და № 12, კვარტალშიგნით ძერჟინსკის ქ. № 5-დან № 51-მდე, კვარტალშიგნით კიროვის ქ. № 1.

**საარჩევნო ოლქი № 387**

**ცენტრი** — **ვოროშილოვის** სახელობის კლუბი (კომინტერნის ქ. № 5).

**საზღვრები:** ძერჟინსკის ქ. № 15, კვარტალშიგნით **ბერიას** მოედანი №№ 3, 4 და 7, პუშკინის სკვერის გადაჭრით, **ბერიას** მოედანი №№ 2, 4, 6, მუზეუმის შესახვევი № 4 და მთელი კენტი მხარე, კვარტალშიგნით კეცხოველის ქ. № 8-დან № 12-მდე და № 5-ა, კვარტალშიგნით, კეცხოველის ქუჩის №№ 5, 7, 7-ა, 11 სახლების ჩათვლით, და აბაშიძის ქ. № 2, რუსთაველის პროსპექტისაკენ და რუსთაველის პროსპექტით ჩიტაძის ქუჩისაკენ ძერჟინსკის ქუჩამდე № 15.

**საარჩევნო ოლქი № 388**

**ცენტრი** — **ვოროშილოვის** სახელობის კლუბი (კომინტერნის ქ. №5).

**საზღვრები:** კეცხოველის ქ. № 5-დან № 1-მდე და № 6, კვარტალშიგნით მუზეუმის შესახვევით №№ 6 და 8, კეცხოველის ქ. № 2-დან № 8-მდე, საკოლმეურნეო ქ. № 2-დან № 10-მდე, კვარტალშიგნით განათლების შესახვევი №№ 6, 1 და 3, განათლების ქუჩისაკენ, ფურცელაძის ქ. გადაკვეთით № 12 და კვარტალშიგნით კეცხოველის ქ. № 5.

**საარჩევნო ოლქი № 389**

**ცენტრი** — აბაშიძის ქ. № 4.

**საზღვრები:** პრესის ქ. № 3 და № 1, ვოლოდარსკის ქ. (ლუწი მხარე), პარიზის კომუნის ქ. №№ 11-ა, 5 და 2, კვარტალშიგნით ჯორჯიაშვილის ქ. № 10, ბაღის გადაჭრით სახაზინო ქ. № 3-მდე, საკოლმეურნეო ქუჩით № 5 და 3, ფურცელაძის ქ. № 17-დან № 11-მდე, განათლების შესახვევი № 4, კვარტალის გადაჭრით საკოლმეურნეო ქ. № 12 პუშკინის ქუჩამდე, პუშკინის ქ. პრესის ქუჩამდე.

**საარჩევნო ოლქი № 390**

**ცენტრი** — აბაშიძის ქ. № 4.

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპექტი № 11-დან № 19-მდე, კვარტალშიგნით სტამბის ჩიხი № 1-მდე, კვარტალის გადაჭრით ძნელაძის ქ. № 2 და № 5, კვარტალის გადაჭრით ძნელაძის მთელი შესახვევიანად, ჯორჯიაშვილის ქუჩის გადაკვეთით, კომუნარების სახელობის ბაღი, ხაზინის ქუჩისაკენ, საკოლმეურნეო ქუჩისაკენ №№ 20, 18 და 16, ფურცელაძის ქ. № 14, კვარტალშიგნით აბაშიძის ქ. № 3 და № 4 და რუსთაველის პროსპექტამდე.

**საარჩევნო ოლქი № 391**

**ცენტრი** — რუსთაველის სახელობის თეატრი (რუსთაველის პროსპექტი, № 21).

**საზღვრები:** პარიზის კომუნის ქ. № 5 და № 4, აქედან კვარტალშიგნით ძნელაძის ქ. №№ 7, 9 და 11, წყალსაზიდი ქუჩა (კენტი მხარე) ჯამბულის შესახვევამდე, ჯამბულის შესახვევი (ლუწი მხარე), ძნელაძის შესახვევი № 3-დან № 7-მდე, ზროსის ქუჩა № 10, სანაპირო ქუჩით გლეხის სახლისაკენ.

**საარჩევნო ოლქი № 392**

**ცენტრი** — რუსთაველის სახელობის თეატრი (რუსთაველის პროსპ. № 21).

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპექტი № 21-დან № 25-მდე, კვარტალშიგნით მე-2 თეატრალური ჩიხისაკენ №№ 12, 10 და 2, კვარტალშიგნით ძნელაძის მე-2 ჩიხი, № 3-ის გამოკლებით, ძნელაძის შესახვევი № 1 და № 3, ჯამბულის შესახვევი წყალსაზიდის ქუჩამდე № 12-დან № 2-მდე, ძნელაძის ქ. № 8-დან № 4-მდე, კვარტალის გადაჭრით რუსთაველის პროსპ. № 21.

**საარჩევნო ოლქი № 393**

**ცენტრი** — მე-56 სკოლა (წყალსაზიდის ქ. № 5).

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპ. № 27-დან № 31-მდე, გერცენის ქუჩა (კენტი მხარე) კვალის ქუჩამდე № 1, კვარტალშიგნით ძნელაძის ქ. სახლი № 30, ლუნაჩარსკის ქ. № 2, კვარტალშიგნით ძნელაძის ქ. №№ 24, 22 და 20, ძნელაძის მე-2 ჩიხი № 3, კვარტალშიგნით თეატრალური შესახვ. № 3 და № 7, ამ შესახვევით მთელი კენტი მხარე მე-2 თეატრალურ ჩიხამდე. სახლ № 7-ის ჩათვლით, და რუსთაველის პროსპ. № 27.

**საარჩევნო ოლქი № 394**

**ცენტრი** — მე-56 სკოლა (წყალსაზიდის ქ. № 5).

**საზღვრები:** ძნელაძის შესახვ. (მთელი ლუწი მხარე), ძნელაძის ქ. № 21 და № 26, ამ სახლიდან კვარტალშიგნით, სახლები №№ 26 და 28 ძნელაძის ქუჩაზე და ლუნაჩარსკის ქ. № 3, ლუნაჩარსკის ქ. სახლი № 1, ძნელაძის ქ. № 29, კვარტალის გადაჭრით გერცენის შესახვ. №№ 8 და 9, სანაპირო ქუჩით ძნელაძის შესახვევამდე.

**საარჩევნო ოლქი № 395**

**ცენტრი**—რადიო-ქარხანა (რუსთაველის პროსპ. № 43).

**საზღვრები:** ძნელაძის ქ. № 31-დან № 45-მდე, სამხედრო ქ. № 6-ა, ჩათვლით, სანაპირო ქუჩით გერცენის შესახვევამდე № 11 და № 10, კვარტალის გადაჭრით ძნელაძის ქ. № 31.

**საარჩევნო ოლქი № 396**

**ცენტრი** — რადიო-ქარხანა (რუსთაველის პროსპ. № 43).

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპ. № 39 და № 41, სამხედრო ქ. № 1-დან № 7-მდე, კვალის ქ. № 16-დან № 12-მდე და № 15, კვარტალის გადაჭრით ძნელაძის ქ. № 48, ძნელაძის ქუჩით ლუწი მხარე № 40-მდე, კვარტალის გადაჭრით კვალის ქ. სახლი № 5 და გერცენის ქ. რუსთაველის პროსპექტისაკენ.

**საარჩევნო ოლქი № 397**

**ცენტრი** — ავეჯეულობის ფაბრიკა (ანდეზიტის ქ. № 2).

**საზღვრები:** კვალის ქ. № 17-დან № 23-მდე, სამხედრო ქ. № 6, მაშხალის ქ. № 1-დან № 15-მდე, კვარტალშიგნით ანდეზიტის ქ. № 27, კვარტალის გადაჭრით საქანელის დაღმართი № 18, ამ დაღმართით, № 12-ის გამოკლებით, ელბაქიძის დაღმართისაკენ № 21, ელბაქიძის დაღმართით და სანაპირო ქუჩით სამხედრო ქუჩამდე № 6 და № 13, კვარტალის გადაჭრით კვალის ქ. № 17.

**საარჩევნო ოლქი № 398**

**ცენტრი** — ავეჯეულობის ფაბრიკა (ანდეზიტის ქ. № 2).

**საზღვრები:** ელბაქიძის დაღმართი № 9-დან № 19-მდე, კვარტალის გადაჭრით კარუსელის დაღმართი №№ 12, 10, 8, 3, 20, კვარტალის გადაჭრით ანდეზიტის ქ. № 29, ანდეზიტის ქუჩით კვარტალშიგნით მაშხალის ქ. № 17 და № 28-დან № 2-მდე, ხანძრის ქ. № 1-დან № 11-მდე, მორტირის ქუჩით, ელბაქიძის დაღმართი № 9.

**საარჩევნო ოლქი № 399**

**ცენტრი** — მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი (**ლენინის** ქ. № 3).

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპექტი № 43, **ლენინის** ქ. № 3. ელბაქიძის დაღმართი № 1-დან № 7-მდე, კვარტალშიგნით მორტირის ქ. №№ 4, 7, 9, ხანძრის ქ. № 12-დან № 2-მდე, სამხედრო ქ. №№ 4, 2 და რუსთაველის პროსპ. № 43.

**საარჩევნო ოლქი № 400**

**ცენტრი** — მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი (**ლენინის** ქ. № 3).

**საზღვრები:** **ლენინის** ქ. № 4-დან № 10-მდე, მოსკოვის ქ. № 2-დან № 10-მდე, კვარტალშიგნით ლიბკნეხტის ქ. № 4, კვარტალშიგნით **ლენინის** ქ. № 4.

**საარჩევნო ოლქი № 401**

**ცენტრი** — პიონერთა კლუბი (**ლენინის** ქ. № 3).

**საზღვრები:** მოსკოვის ქ. № 44-დან № 12-მდე, კვარტალშიგნით ლიბკნეხტის ქ. №№ 2 და 6, კვარტალშიგნით ლიბკნეხტის ქ. № 12-დან № 18-მდე, კვარტალის გადაჭრით 8 მარტის ქ. სახლი № 30-მდე ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 402**

**ცენტრი** — პიონერთა კლუბი (**ლენინის** ქ. № 3).

**საზღვრები:** პაპანინის ქ. № 22, კვარტალშიგნით პაპანინის ქ ყველა ლუწი ნომრები № 22-დან ბოლომდე, ცხემის შესახვევი №№ 19 და 17 და № 14-დან № 20-მდე, მთის ფერდობით 8 მარტის შესახვევისაკენ, პაპანინის ქ. № 35-დან № 7-მდე, პაპანინის მე-2 ჩიხის ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 403**

**ცენტრი**—„ზარია ვოსტოკა“ (რუსთაველის პროსპ.).

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპ. № 36-დან № 40-მდე, **ლენინის** ქ. № 2, კვარტალშიგნით პაპანინის ქ. სახლი № 5, ლუწ მხარეზე № 20, კვარტალშიგნით გრიბოედოვის შესახვ. № 10-დან № 2-მდე და № 35-დან № 29-მდე, ამ სახლიდან რუსთაველის პროსპექტისაკენ სახლი № 36.

**საარჩევნო ოლქი № 404**

**ცენტრი** — „ზარია ვოსტოკა“ (რუსთაველის პროსპ.).

**საზღვრები:** გრიბოედოვის ქ. № 22-დან № 28-მდე, გრიბოედოვის შესახვ. №№ 1, 3, და 5, ათარბეკოვის ქ. № 56, კვარტალშიგნით ათარბეკოვის ჩიხი № 13-დან № 7-მდე და № 2, ათარბეკოვის ქ. №№ 48, 50 და 51, კვარტალშიგნით გრიბოედოვის ქ. № 22-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 405**

**ცენტრი** — მე-20 სკოლა (ჭავჭავაძის ქ. № 31).

**საზღვრები:** ათარბეკოვის ქ. № 46, ათარბეკოვის ჩიხი № 1-დან № 5-მდე ჩათვლით, კვარტალის გადაჭრით ცხემის ქ. № 13, კვარტალშიგნით პაპანინის ქუჩის გადაჭრით მთის ფერდობზე ბორბალოს შესახვ. № 26-დან № 6-მდე, ცხემის შესახვ. № 7-დან № 3-მდე, კვარტალშიგნით ათარბეკოვის ქ. № 46.

**საარჩევნო ოლქი № 406**

**ცენტრი** — მე-20 სკოლა (ჭავჭავაძის ქ. № 31).

**საზღვრები:** არსენას ქ. № 46 და № 4, ჭავჭავაძის ქ. № 13-დან № 37-მდე, მესხის ქ. № 40-დან № 16-მდე, კვარტალშიგნით ყიფიანის შესახვ. № 55, მთის ფერდობით სამრეცხაოს ქუჩისკენ № 31-დან № 1-მდე, №№ 21-ის და 3-ის გამოკლებით.

**საარჩევნო ოლქი № 407**

**ცენტრი** — შრომის სასახლე.

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპ. № 34-დან № 24-მდე, ჭავჭავაძის ქ. № 1, გრიბოედოვის ქ. № 16, ჭავჭავაძის ქ. № 6, გრიბოედოვის ქ. № 18-დან № 27-მდე, კვარტალშიგნით რუსთაველის პროსპექტისაკენ № 34.

**საარჩევნო ოლქი № 408**

**ცენტრი** — შრომის სასახლე.

**საზღვრები:** ჭავჭავაძის ქ. № 9 და № 11, არსენას ქ. № 33, სამრეცხაოს ქ. № 1, კვარტალშიგნით ათარბეკოვის ქ. №№ 44, 47 და 49-ა, კვარტალშიგნით გრიბოედოვის ქუჩისაკენ №№ 20 და 18, ჭავჭავაძის ქ. № 5-დან № 21-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 409**

**ცენტრი** — ათარბეკოვის ქ. № 38.

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპ. № 18-დან № 22-მდე, ჭავჭავაძის ქ. № 2-დან № 10-მდე, № 6-ის გამოკლებით, კვარტალშიგნით ათარბეკოვის ქუჩისაკენ № 38 და № 35, კვარტალშიგნით გრიბოედოვის ქ. № 10-დან № 14-მდე და № 17, კვარტალშიგნით წულუკიძის ქ. № 1 რუსთაველის პროსპექტისაკენ № 18.

**საარჩევნო ოლქი № 410**

**ცენტრი** — ათარბეკოვის ქ. № 38.

**საზღვრები:** წულუკიძის ქ. №№ 3 და 5, გრიბოედოვის ქ. №№ 8 და № 6, კვარტალის გადაჭრით წულუკიძის ქ. № 8 ათარბეკოვის ქუჩამდე № 32-დან № 36-მდე და № 33, კვარტალის გადაჭრით გრიბოედოვის ქ. №№ 8, 13 და 15, ამ სახლიდან წულუკიძის ქ. № 3.

**საარჩევნო ოლქი № 411**

**ცენტრი** — იუსტიციის სახ. კომისარიატი (ათარბეკოვის ქ. № 32).

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპ. № 16-დან № 10-მდე, ბესიკის ქ. № 1-დან № 7-მდე, ლუწი №№ 8/20-ის და 10/23-ის ჩათვლით. კვარტალის გადაჭრით ათარბეკოვის ქ. № 30, წულუკიძის ქ. № 10, კვარტალის გადაჭრით გრიბოედოვის ქ. № 4 და წულუკიძის ქ. № 6-დან № 2-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 412**

**ცენტრი** — იუსტიციის სახ. კომისარიატი (ათარბეკოვის ქ. № 32).

**საზღვრები:** ჭავჭავაძის ქ. № 12-დან № 18-მდე, ჩაბალის შესახვ., თხინვალის ქუჩის კენტი მხარე და ლუწი მხარის № 6, კვარტალის გადაჭრით ვეძინის ქ. № 5, ვეძინის ქუჩით, ყიფიანის ქუჩით, ყიფიანის ქუჩიდან არსენას ქუჩამდე, არსენას შესახვ. ბესიკის ქ. № 7-მდე, კვარტალშიგნით ჭავჭავაძის ქ. № 12.

**საარჩევნო ოლქი № 413**

**ცენტრი** — მე-8 სკოლა (ჩიტაძის ქ. № 9).

**საზღვრები:** ჭავჭავაძის ქ. ჩაბალის შესახვევიდან მესხის ქ. № 19-მდე, კვარტალის გადაჭრით ვეძინის ქუჩისაკენ № 32, ვეძინის შესახვევით თხინვალის ქუჩამდე, ვეძინის მე-2 ჩიხი № 6, კვარტალის გადაჭრით თხინვალის ქუჩისაკენ № 16-დან № 26-მდე, ამ სახლიდან ჩაბალის შესახვევით ჭავჭავაძის ქუჩისაკენ.

**საარჩევნო ოლქი № 414**

**ცენტრი** — მე-8 სკოლა (ჩიტაძის ქ. № 9).

**საზღვრები:** კოტე მესხის ქ. № 17-დან № 5-მდე, ვეძინის ქ. № 2-დან № 8-მდე, კვარტალის გადაჭრით თხინვალის ქ. № 8-დან № 14-მდე, ამ სახლიდან კვარტალის გადაჭრით ვეძინის მე-2 შესახვევისაკენ № 6, თხინვალის ქუჩით ვეძინის მე-4 შესახვევამდე №№ 26 და 28, კვარტალის გადაჭრით კოტე მესხის ქუჩისაკენ.

**საარჩევნო ოლქი № 415**

**ცენტრი** — მე-12 სკოლა (ბესიკის ქ. № 25).

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპ. № 4-დან № 8-მდე, ბესიკის ქ. №№ 2 და 4, შევჩენკოს ქ. № 18, კვარტალის გადაჭრით ათარბეკოვის ქუჩისაკენ № 21-დან № 7-მდე და № 6, კვარტალის გადაჭრით 1-ლი პარალელური ქუჩისაკენ № 1, მე-2 პარალელური ქ. № 8, კვარტალის გადაჭრით ობოლაძის ქუჩისაკენ № 5, ამ ქუჩით რუსთაველის პროსპექტისაკენ.

**საარჩევნო ოლქი № 416**

**ცენტრი** — მე-12 სკოლა (ბესიკის ქ. № 25).

**საზღვრები:** ათარბეკოვის ქ. № 8-ბ-დან № 26-მდე, ბესიკის ქ. № 12-დან № 16-მდე, არსენას შესახვევი (კენტი მხარე), არსენას ქუჩა, სახლ. № 15-ის გამოკლებით, კვარტალის გადაჭრით მე-2 პარალელურ ქ. №№ 20 და 9, ამ ქუჩით 1-ლ პარალელურ ქ. № 1-მდე, კვარტალის გადაჭრით ათარბეკოვის ქ. № 8-ბ.

**საარჩევნო ოლქი № 417**

**ცენტრი** — 1-ლი სკოლა (სახკომსაბჭოს ქ. № 2).

**საზღვრები:** ობოლაძის ქ. № 11-დან № 17-მდე, ბესიკის ქ. № 27, კვარტალის გადაჭრით ყიფიანის ქუჩისაკენ № 20, აქედან ყიფიანის ქუჩით № 2-მდე, არსენას ქ. №№ 16 და 15, კვარტალის გადაჭრით მე-2 პარალელური ქუჩისაკენ № 18, ამ ქუჩით № 2-მდე და ობოლაძის ქ. № 10, კვარტალის გადაჭრით ძერჟინსკის ქ. № 25 და ბესიკის ქუჩისაკენ № 11.

**საარჩევნო ოლქი № 418**

**ცენტრი** — 1-ლი სკოლა (სახკომსაბჭოს ქ. № 2).

**საზღვრები:** ყიფიანის ქ. № 7-დან № 35-მდე, მთის ფერდობი, სახლები №№ 35, 48, 48-ა, 48-ბ, და 48-დ, ყიფიანის შესახვევის გადაჭრით № 29 მესხის მე-3 ჩიხისაკენ, მესხის ქ. № 14-დან № 2-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 419**

**ცენტრი**—პროპაგანდისტთა სკოლა (ჩიტაძის ქ. № 6).

**საზღვრები:** რუსთაველის პროსპ. № 2, ჭიჭინაძის ქ., ობოლაძის ქ., ძერჟინსკის ქ. № 3, ობოლაძის ქ. № 12-დან № 16-მდე, ობოლაძის შესახვევი №№ 5 და 4, ამ სახლიდან კვარტალშიგნით ნიაღვრის ქუჩისაკენ № 7, ამ ქუჩით ძერჟინსკის ქუჩამდე №№ 24 და 19, აქედან ჩიტაძის ქუჩამდე, ამ ქუჩით რუსთაველის პროსპ. № 2-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 420**

**ცენტრი** — პროპაგანდისტთა სკოლა (ჩიტაძის ქ. № 6).

**საზღვრები:** ჩიტაძის ქ. № 5-დან № 13-მდე, აქედან კვარტალშიგნით ჩიტაძის მე-2 შესახვევისაკენ № 3, ნიაღვრის მე-2 შესახვევი, ბესიკის შესახვევი № 6-ა, აქედან კვარტალშიგნით ბესიკის მე-2 შესახვევისაკენ № 4 და № 1, კვარტალშიგნით მ..ის შესახვევისაკენ № 4 და № 2, ნიაღვრის შესახვევი № 9, ობოლაძის ქ. № 20 და № 10, ობოლაძის შესახვევი № 10-დან № 6-მდე, კვარტალშიგნით ნიაღვრის ქუჩისაკენ № 9, ძერჟინსკის ქ. № 22, კვარტალშიგნით ჩიტაძის ქუჩისაკენ № 5.

**საარჩევნო ოლქი № 421**

**ცენტრი** — პროპაგანდისტთა სკოლა (ჩიტაძის ქ. № 6).

**საზღვრები:** ყიფიანის ქ. № 44-დან № 22-მდე, კვარტალის გადაჭრით ბესიკის ქუჩისაკენ № 29, ბესიკის ქ., ნიაღვრის შესახვ., მთის შესახვევი № 6 და კვარტალშიგნით ბესიკის მე-2 შესახვევისაკენ № 3 და № 8, კვარტალის გადაჭრით შ..ო ჩიტაძის ჩიხის გადაკვეთით ა..ზ..ს შესახვევამდე № 2 და № 4, მთის ფერდობით ყიფიანის ქუჩისაკენ № 55 და № 54.

## ორჯონიკიძის სახელობის რაიონი

**საარჩევნო ოლქი № 422**

**ცენტრი** — მე-42 სკოლა (ბარნოვის ქუჩა, № 10).

**საზღვრები:** ბარნოვის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 12-მდე, მოსკოვის ქუჩის კენტი ნომრები № 7-დან № 27-მდე, ბარნოვის ჩიხი № 4-დან № 8-მდე, ანაპის შესახვევის ლუწი ნომერი № 4-დან № 10-მდე და კენტი ნომრები № 3-დან № 7-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 423**

**ცენტრი** — მე-42 სკოლა (ბარნოვის ქუჩა, № 10).

**საზღვრები:** გურამიშვილის შესახვევი №№ 2-ა, 2 და 4 და № 1, ერისთავ-ხოშტარიას ქუჩა № 2 და № 1-ბ, ყარსის ჩიხი № 2 და 4, გურამიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები № 10-დან № 32-მდე, იმავე ქუჩის კენტი ნომრები № 31-დან № 35-მდე, ბაიაზეთის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 12-მდე, კერესელიძის ქუჩა № 30-დან № 46-მდე და № 25-ა-დან № 35-მდე, ანაპის შესახვევი № 4 და 6.

**საარჩევნო ოლქი № 424**

**ცენტრი** — მე-58 სკოლა (ბელინსკის ქუჩა, № 24).

**საზღვრები:** გურამიშვილის ქუჩის კენტი ნომრები № 21-დან № 25-მდე, ბაიაზეთის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 21-მდე და იმავე ქუჩის ლუწი ნომრები № 14-დან № 22-მდე, ანაპის შესახვევის კენტი ნომრები № 3-დან № 13-მდე, გოგებაშვილის 1-ლი შესახვევის ლუწი ნომრები № 4-დან № 20-მდე და კენტი ნომრები № 1-დან № 13-მდე, კერესელიძის ქუჩის ლუწი ნომრები № 20-დან № 26-მდე და კენტი ნომრები № 21 და 23, გოგებაშვილის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 22-მდე და კენტი — № 1-დან № 7-მდე, ბელინსკის ქუჩის ლუწი ნომრები № 38-დან № 52-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 425**

**ცენტრი** — მე-58 სკოლა (ბელინსკის ქუჩა, № 24).

**საზღვრები:** გურამიშვილის ქუჩის კენტი ნომრები № 9-დან № 21-მდე, ბარნოვის ქუჩის ლუწი ნომრები № 16-დან № 24-მდე, დერბენტის შესახვევი №№ 3, 4 და 9, კერესელიძის ქუჩის ლუწი ნომრები № 12-დან № 20-მდე და კენტი № 11-დან № 19-მდე, გოგებაშვილის ქუჩის კენტი ნომრები № 9-დან № 19-მდე, ერისთავ-ხოშტარიას ქუჩის ლუწი ნომრები № 6-დან № 18-მდე და კენტი ნომრები № 3-დან № 11-მდე, ბელინსკის ქუჩის ლუწი ნომრები № 32-დან № 36-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 426**

**ცენტრი** — ორჯონიკიძის რაისაბჭო (ლენინის ქუჩა, № 16).

**საზღვრები:** ბარნოვის ქუჩის კენტი ნომრები № 13-დან № 33-მდე და ამავე ქუჩის ლუწი ნომრები № 26-დან № 28-მდე, ბელინსკის ქუჩა № 24, 26, კოლხიდის ქუჩის ლუწი ნომრები № 22-დან № 28-მდე, კერესელიძის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 7-მდე, კერესელიძის ქუჩის ლუწი ნომრები № 4-დან № 6-ა-მდე, გურამიშვილის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 7-მდე და ამავე ქუჩის ლუწი ნომრები № 4-დან № 6-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 427**

**ცენტრი** — ორჯონიკიძის რაისაბჭო (ლენინის ქუჩა, № 16).

**საზღვრები:** ბარნოვის ქუჩის კენტი ნომრები № 3-დან № 13-მდე, კოლხიდის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 20-მდე და ამავე ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 11-მდე, მირსკის ჩიხის კენტი ნომრები № 3-ა-დან № 9-მდე, ლენინის ქუჩა № 14.

**საარჩევნო ოლქი № 428**

**ცენტრი** — სამტრესტი (ლენინის ქუჩა, № 32).

**საზღვრები:** ლენინის ქუჩის ლუწი ნომრები № 16-დან № 32-მდე, ბელინსკის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 22-მდე, კოლხიდის ქუჩის კენტი ნომრები № 13-დან № 15-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 429**

**ცენტრი** — სამტრესტი (ლენინის ქუჩა, № 32).

**საზღვრები:** ლენინის ქუჩის ლუწი ნომრები № 36-დან № 40-მდე, მელიქიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 8-მდე, ბელინსკის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 13-მდე, ბაქრაძის ქუჩა №№ 1 და 3, ბაქრაძის მეორე ჩიხის კენტი ნომრები № 3-დან № 9-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 430**

**ცენტრი** — საბავშვო ბაღი № 1 (ბელინსკის ქუჩა, № 2).

**საზღვრები:** ბელინსკის ქუჩის კენტი ნომრები № 15-დან № 31-მდე, კოლხიდის ქუჩა №№ 19 და 21, ბაქრაძის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 12-მდე, კოლხიდის შესახვევის კენტი ნომრები № 9-დან № 13-მდე, ბაქრაძის ჩიხი №№ 3, 5 და 6.

**საარჩევნო ოლქი № 431**

**ცენტრი** — საბავშვო ბაღი № 1 (ბელინსკის ქუჩა, № 2).

**საზღვრები:** ბაქრაძის ქუჩა №14 და 16, არაგვის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 14-მდე, კოლხიდის ქუჩა №№ 23 და 25, კოლხიდის შესახვევი № 1-დან № 13-მდე და № 2-დან № 10-მდე, კოლხიდის ჩიხი № 2-დან № 6-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 432**

**ცენტრი** — მე-18 სკოლა (მელიქიშვილის ქუჩა, № 4).

**საზღვრები:** ბაქრაძის მე-2 ჩიხის ლუწი ნომრები № 2-დან № 4-მდე, ბაქრაძის ქუჩის კენტი ნომრები № 5-დან № 21-მდე (№ 17-ის გამოკლებით), ყაზბეგის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 14-მდე, მელიქიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები №№ 10 და 12, ყაზბეგის ჩიხის ლუწი ნომრები №№ 2 და 4, ბარნოვის შესახვევის ლუწი ნომრები № 28-დან № 34-მდე, ამავე შესახვევის კენტი ნომრები № 1-დან № 5-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 433**

**ცენტრი** — მე-18 სკოლა (მელიქიშვილის ქუჩა, № 4).

**საზღვრები:** ყაზბეგის ქუჩის კენტი ნომრები № 3-დან № 15-მდე, მლეთის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 5-მდე, კობის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 13-ა-მდე, კობის გასასვლელი №№ 1 და 3, კობის შესახვევი № 4, კობის ჩიხის კენტი ნომრები № 5-დან № 11-მდე და № 8, მელიქიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები № 18-დან № 24-მდე, მელიქიშვილის 1-ლი ჩიხი № 3.

**საარჩევნო ოლქი № 434**

**ცენტრი** — მე-25 სკოლა (ბარნოვის ქუჩა, № 46).

**საზღვრები:** არაგვის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 25-მდე, ბარნოვის ქ. № 41, ყაზბეგის ქუჩის ლუწი ნომრები № 16-დან № 38-მდე და ამავე ქუჩის კენტი ნომრები № 17-დან № 27-მდე, ბაქრაძის ქუჩის ლუწი ნომრები № 18-დან № 22-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 435**

**ცენტრი** — მე-25 სკოლა (ბარნოვის ქუჩა, № 46).

